619
1973

ეროვნული ბიბლიოთეკა




# დროშა

№ 4 აპრილი 1973






კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მშრომელთა დიდი ბელადის ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ლ ი ა ს-ძ ე ლ ე ნ ი ნ ი ს სახელზე გაცემულ № 00000001 პარტიულ ბილეთს ხელს აწერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

1 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში დაიწყო პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ 1973 წლის ნიმუშის ნომერი პირველი პარტბილეთი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამოწერეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის სახელზე. ლენინის პარტიულ ბილეთს ხელი მოაწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (437) აპრილი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მოსკოვში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად მდებარეობს მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის და დასვენების პარკი, 1928 წელს გაიხსნა პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ბევრი რამ იყო აქ საინტერესო და თვალმიმტაცი, მაგრამ ყველაზე მეტი ხალხი მაინც აწყდებოდა ვ. ი. ლენინის მონუმენტურ პორტრეტს, რომელიც შესრულებული იყო ცოცხალი ყვავილებისა და ხალიჩოვანი მცენარეებისაგან; პორტრეტი ეკუთვნოდა ვასო ბეჟანიშვილს. გამოფენაზე. მოსული საბ. ჭოთა მოქალაქეები და უცხოელები აღტაცებაში მოჰყავდა სახვითი ხელოვნების ამ იშვიათ ნიმუშს.

ამ ოსტატურად შესრულებულ ნამუშევარს მოსკოვის გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს. ასე, მაგალითად, „პრავდა“ წერდა: „გამოფენის მთავარი პარტერიდან ჰარმონიულად განლაგებულ ზღვა ყვავილებსა და ლამაზად ჩამწკრივებულ პალმებს



# ყვავილებით დახატული პორტრეტი

შორის აღიმართება უამრავი ცოცხალი მცენარისაგან შექმნილი ბუმბერაზი ადამიანის პორტრეტი. ეს არის ამხანაგი ლენინი. დიახ, ეს არის ილიჩი მისი გამჭრიახი, მშვიდი თვალებით და ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილით. ეს ის არის, ლაპარაკობენ მუშები და გლეხები, რომლებიც მას იცნობენ; — ლენინი, — აღფრთოვანებით გაიძახის ლამაზ ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი თურქმენი, რომელიც დგას მაყურებელთა ჯგუფში. — სწორედ ის არის, — ადასტურებენ სხვები. ასე დილიდან დაღამებამდე პორტრეტთან თავს იყრიან საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც დიდხანს ტკბებიან ამ სანახაობით და წასვლისას ერთხმად იმეორებენ: „ეს არის სასწაული. ახლოდან შესანიშნავია, შორიდან კი კიდევ უკეთესია“. მცენარეები, რომლებისაგანაც არის შექმნილი პორტრეტი, ცოცხლობენ და ფერს იცვლიან, ქარის დროს ფურცლები ირხევიან და იცვლიან ელფერს. ამასთანავე, ფოთლების რხევა მისდევს მზის შუქს, მაგრამ ამით არაჩვეულებრივი მსგავსება ლენინის ცოცხალ სახესთან სრულიად არ ირღვევა.

პორტრეტი უნდა ნახოთ არა მარტო დღის სინათლეზე, როდესაც თქვენ თვალს სასიამოვნოდ ეალერსება შეხამებულ ფერთა ჰარმონია, არამედ ღამეც, როდესაც პორტრეტი შესანიშნავ გრავიურას ემსგავსება.

ილიჩის პორტრეტის შემქმნელი არის მხატვარი-დეკორატორი ვ. ლ. ბეჟანიშვილი. მისი ქმნილება არის რაღაც სრულიად ახ ლი. მან შექმნა ყვავილების პალიტრა და გამონახა ხერხი, რომლის შემწეობით აიძულა მცენარე გაიზარდოს იმ ფარგლებში, რომლებსაც მოითხოვს მისი მხატვრული ნაწარმოები“. („პრავდა“, № 195, 1928 წ.).

გაზეთი „იზვესტია“ აღნიშნავდა:

„...ყვავილებიდან გაკეთებული ლენინის უზარმაზარი პორტრეტი დიდძალ ხალხს იზიდავს. ნამუშევარი მართლაც ოსტატურად არის შესრულებული და მისი ავტორი, მხატვარი-მეყვავილე ვ. ლ. ბეჟანიშვილი გამოფენიდან წავა ფართოდ ცნობილი, რაც მან ნამდვილად დაიმსახურა“. („იზვესტია“ № 196, 1928 წ.).

ვ. ი. ლენინის ცოცხალი ყვავილების მონუმენტური პორტრეტის შემსრულებელი, როგორც აღვნიშნეთ, იყო ჩვენი თანამემამულე, საბაღო-დეკორატიული სახვითი ხელოვნების ცნობილი ნოვატორი, ხელოვნების ახალი დარგის დანერგვის პიონერი, ვასილ ლავრენტის-ძე ბეჟანიშვილი, დაბადებული სოფელ მარტყოფში 1886 წელს.

ზემოხსენებულმა ნამუშევარმა მას ფართოდ გაუთქვა სახელი. 1933-1940 წლებში ბეჟანიშვილი მ. გორკის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის მთავარი მებაღე-დეკორატორია. აქ 1934 წელს მან შეასრულა მაქსიმ გორკის ყვავილოვანი პორტრეტი და გამწვანების სხვა საინტერესო ნიმუშები.

ხალიჩოვანი ცოცხალი მცენარეებითა და ყვავილებით დეკორატიული ფერწერა ვასო ბეჟანიშვილმა დაიწყო საქართველოს დედაქალაქში, სადაც 1906 წელს, საბაღოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ, მიხეილის საავადმყოფოში მუშაობდა მებაღედ. ამ საავადმყოფოსთან მოწყობილ სკვერში 1911 წელს მან ცოცხალი მცენარეებისაგან შექმნა ლ. ნ. ტოლსტოის პორტრეტი; მსოფლიოს საფოსტო კავშირმა ფართოდ გაავრცელა ამ პორტრეტის ფოტოსურათი. გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ 1911 წლის სექტემბერში წერდა: „...დიდი მწერლის თავი იმდენად მხატვრულად არის გამოსახული, თითქოს პორტრეტი დაწერილია ზეთის ფერებით. ნამდვილად კი ტოლსტოის სურათი შესრულებულია ცოცხალი ყვავილებისაგან მებაღე ვასილ ბეჟანიშვილის მიერ, რომელიც მასზე შრომობდა ოთხ თვეს“.

დეკორატიულ მებაღეობაში ეს იყო ცოცხალი ყვავილებისაგან პორტრეტის გამოსახვის პირველი შემთხვევა.

1911 წელს ბეჟანიშვილი მოსკოვს მიემგზავრება. მან პირველმა რუსეთში მიიღო „მებაღე-მხატვრის“ წოდება და დიდი ოქროს მედალი.

ვასო ბეჟანიშვილს მე პირველად შევხვდი მოსკოვში, 1930 წლის დასაწყისში, იმ დროს მოსკოვში ფართოდ იყო გაშლილი საბაღო-დეკორატიული სამუშაოები, რომელთა მთავარი შემსრულებელხელმძღვანელი ვ. ბეჟანიშვილი იყო.

ვ. ბეჟანიშვილი თბილისში სამუშაოდ გადმოვიდა 1941 წელს. 1945 წლამდე იყო მწვანე მშენებლობის საგნის ლექტორი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. შემდეგ მუშაობდა მთაწმინდის სტალინის სახ. დასვენებისა და კულტურის პარკის მთავარ აგრონომად. მისმა ნაყოფიერმა მუშაობამ დიდი კვალი დააჩნია ამ პარკის გაშენებაგამშვენიერების საქმეს. შემდეგ ვ. ბეჟანიშვილი ისევ მოსკოვს დაუბრუნდა და იქ გარდაიცვალა 1962 წელს.

უამრავი ლექსი, მოთხრობა და პოემა დაწერილა ლენინზე. მხატვრული ლენინიანა მთელ ტომებს მოიცავს; ასევე ურიცხვია ფერწერული თუ გრაფიკული პორტრეტები და ქანდაკებები, რომლებიც სახვითი ხელოვნების ოსტატებმა შექმნეს. ამ დიდ ლენინიანას განეკუთვნება ვ. ბეჟანიშვილის მიერ შესრულებული იშვიათი პორტრეტი ლენინისა, რომელშიც ავტორმა ჩააქსოვა მთელი ჩვენი ხალხის ულრმესი სიყვარული დიდი ბელადისადმი.

გიორგი ბეჟანიშვილი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

## კარლო კალაძე

### მოგონებები და ლექსები

●

გაზაფხული რაა, როცა გავიფიქრებ —
დათოვლილი ვიყო — უკვე აღარ მინდა!
ბნელ ღრუბლებში გზა-კვალს ელვის თვალით ვიგნებ,
ვგრძნობ, რომ მიწა ერთხელ კიდევ აყვავილდა.

გაზაფხული რაა, როცა გავიფიქრებ —
რაა, დავწვდე ხევის წყალსაც ნება-ნება,
იგი ჩემი მძაფრი სწრაფვაც არის იქნებ,
უმოწყალო ჟამს რომ თოვლქვეშ ემალება!

●

ჩაფრენია ჩამოთოვლილ ფერდობს ფესვი,
ფიქრობს ალბათ: ქინით კლდესაც გავარღვევო...
— ალალ იყოს მთის ნაყური შენთვის, შესვი! —
ვეხუმრები, რომ როგორმე გავამხნევო.

ჩაფრენია ჩამოთოვლილ ფერდობს ფესვი,
და მეც მისებრ გადაღლილი მაჯა მიცემს!
კიდევ ერთი ღვარი ტალღა, ერთი პეშვი,
და მეც ჩემი გაზაფხული გამაღვიძებს!

●

წარბშეკრული კაცის ნახვა ისე მიმძიმს —
თავს მოვიკლავ სახე რომ არ გავუნათო!
დე, ეგონოს იმის ვიწრო თვალის ციმციმს:
„ეს ცხოვრება უჩანს დღესასწაულადო“.

წარბშეკრული კაცის ნახვა ისეც მიმძიმს,
ნუ ჩამითვლით პასუხს კალმის კალამბურად:
— ემღერება? ერთხელ მაინც ჰკითხეთ იმ სიმს,
პიანურის გულ-მკერდზე რომ განაბულა!

●

რაგინდ შიშით შეგიშუპდეს თვალის უპე,
არ იქნება, ბედი შუბლზე არ გეწეროს, —
მაშ გამალე შუბლი ისევ, გადიღრუბლე,
პირის დროსაც ჰიქით შეხვდი სადღეგრძელოს!

რაგინდ შიშით შეგიშუპდეს თვალის უპე,
სძლიე!.. შმაგი ჰიდილია ეგებ ქინთა,
ეგებ შენი არჩევანი არის უკვე —
შენ კი შესდექ და სიცოცხლის შეგეშინდა!

●

ტოტებს უწვდის ხე ჩიტების ჟივილ-ხივილს,
ხე ჩიტებით შეიფოთლა ისევ თითქოს,
სადღაც, თოვლში, დაეწია მზე ჩემს ღიმილს,
ვიცი, ზამთრის გზა და კვალი უნდა მკითხოს.

ტოტებს უწვდის ხე ჩიტების ჟივილ-ხივილს,
და მეც გულში ის გავივლე, რაცა მსურდა:
მზის უქრობი ნაღვერდალი სადღაც ღვივის,
ცის ბინდ-ბუნდში ერთხელ კიდევ გაზაფხულდა!

●

შერჩენია პაპიროსის ბოლი მაღლობს,
როგორც ჩუმი ამოსუნთქვა, როგორც ნისლი,
ვიღაც მოდის ყოველღამით, ვიღაც ნაღვლობს, —
აქვე ახლოს კარმიდამო არის მისი.

შერჩენია პაპიროსის ბოლი მაღლობს,
შერჩენია მოუსვენარ მხრების ჩრდილი.
ოცდაცხრა წლის უნახავი შვილი სახლობს
აქ, შავკაბა ქალის მიერ გამიზრდილი.

●

მზე ამოდის! მზე ამოდის! მზე ამოდის!
თოვლში ჩუმად აღარაა გზა ჩაფლული.
კვირტს შლის უკვე და დილიდან საღამომდის
გლეხკაცივით ტყეებშია გაზაფხული.

მზე ამოდის! მზე ამოდის! მზე ამოდის!
შინ მოუსვლელ მეომართა სერზე ვდგევარ.
სოფელმა რომ დარგო ერთხელ — ხის იმ ტოტის
კვირტის გაშლით ჩემი გულიც შეირხევა!..

●

ძელქვის ხეებს ცად რა ქარი ახმიანებს,
ცად რას ეძებს ეწერი და იანეთი?!
ვხედავ, თორემ, კალაძეებს, კახიანებს
ჩემი ფრენით მეც არ ავახმიანებდი!

ძელქვის ხეებს ცად რა ქარი ახმიანებს,
ჩემზე უკეთ რომ იცოდეს — რომელია?!
გუბაზ-მეფის ძელქვებს ბექთარ-ფარხმლიანებს
გადუქროლე... და ღიმილი მომერია!

●

წარსულს ვუმზერ — თვალს ოცნებით როცა ვხუჭავ,
თვალგახელილს — დღევანდელი დღე მახარებს...
აჰა, ჩემი სიყმაწვილე თმა-ხუჭუჭა,
ჩემს ტოლებზე მეტად ვის-ღა შემაყვარებს!

წარსულს ვუმზერ — თვალს ოცნებით როცა ვხუჭავ.
მიმტკიცდება რწმენა წელთა გახსენებით.
აგერ, აგერ, ჩემი დილა, ჩემი ქუჩა,
სავსე ისევ ჩემი თანაკლასელებით!

●

ოციანი წლების ძველი დრო გასულა,
მაგრამ ზეცა გაგვინათა მაინც ელვამ!
გაიხაროს, ბრძოლით ვინც არ მოქანცულა,
გაიხაროს ამ ცხოვრების მასპინძელმა!

ოციანი წლების ძველი დრო გასულა,
და ეს ლექსიც ნაწყვეტია იმ მანძილის, —
გულმა ალბათ, ამიტომაც მოგვაწყურა
სადღეგრძელო დაუვიწყარ სიყმაწვილის!

●

რუსთაველზე რომ გავივლი — ლანდი ჩემი
ისე, თითქოს წუთმა გამგებ შეარჩია —
ფეხთქვეშ რომ არ წამიშალოს ნაბიჯები —
აქვე, ჭადრის ხეთა შრიალ-შრიალშია!

რუსთაველზე რომ გავივლი, ლანდი ჩემი
ეჰ, ვინ იცის რამდენ ღიმილს უალერსებს...
რა ბიჭები ვტრიალებდით, რა ბიჭები
დავაფრენდით ღილაწყვეტილ უბით ლექსებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ის ცისთვალა ციციშვილის გოგონაა,
ის კი — ხალებ-დაწინწკლული — თოიძეა...
ვამბობ, მაგრამ მეც არ ვიცი როგორაა,
რომ ოცნებამ ცაზე ისევ მოიძია!

ის ცისთვალა ციციშვილის გოგონაა,
ახლაც მითხრეს ჩემმა სიყრმის გოგონებმა.
დრო კი იწვის, თითქოს ჭიაკოკონაა
და ნაპერწკლებს თვალში მაყრის მოგონება.

●

მკერდით ვიღაც ზღვას მიაპობს ვაჟკაცურად,
სურათს 20 აწერია. და ეს მე ვარ!
არც ამ თარიღს დაუჯეროთ, არც ამ სურათს —
თორემ წუთსაც თვალთმაქცობა დაერქმევა...

მკერდით ვიღაც ზღვას მიაპობს ვაჟკაცურად,
გაიხაროს ყველამ, ვისაც ჩემი შურდა, —
მეც ვიძახდი: — ზღვას გავცურავ, ზღვას გავცურავ!
და ის 20 სამჯერ უკვე შემისრულდა!

●

ო, რა ბასრი თვალი ჰქონდა მარჯანიშვილს,
წლიდან წლამდე კრძალვით მითვალთვალებია, —
არა მხოლოდ ბილიკები ვარჯანისის,
უიმთვალოდ არც ხატიჯე მყვარებია!

ო, რა ბასრი თვალი ჰქონდა მარჯანიშვილს,
ჩემს სიცოცხლეს. თუმც ბოლომდე აღარ გასწვდა —
მტუქსავს ახლაც! და თავისას აღარ იშლის:
არ მაქვს ნება, რომ არ ვიყო ახალგაზრდა!

●

ვცადოთ, ნისლი ნარეკლებმა არ დაფლითონ,
ლეჩაქივით ქარს რომ მთიდან მთაზე მიაქვს....
აი, რაა გასაოცრად ძნელი, ფრიდონ,
ფრიდონს მართლაც საცრის ტოლა თვალები აქვს.

ვცადოთ, ნისლი ნარეკლებმა არ დაფლითონ,
ბილიკ-ბილიკ, ჭოროხამდე ჩავყვეთ სერებს,
ვნახოთ ლაზი მასპინძელი და ის თვითონ
წყალდიდობის ამბავს კვლავაც გაგვახსენებს!

●

ის ამბავი ჭოროხ-გაღმა როდი მოხდა,
წყალდიდობამ კაცი ჩვენგან გაიტაცა,
აქაური ლაზი იყო, მხნე და კოხტა,
მთელ სოფელში ითვლებოდა კაიკაცად.

ის ამბავი ჭოროხ-გაღმა როდი მოხდა,
უნახიათ წყალი როგორ გამოსცურა —
თავგანწირულ ბრძოლით, ისევ, თავის ქოხთან
კლდე-ჩაქცეულ კმედოებზე ამოსულა!..

●

არის რწმენა. არის ძალა, არის გული.
არის, არის ვაჟკაცური თავგანწირვა!
თორემ სოფლის გაღმა უნდოდ გარიყული —
კარგიც ვიყო, ავიც ვიყო — რა კაცი ვარ!

არის რწმენა, არის ძალა, არის გული!
არის დიდი გაზაფხულის შთაგონება...
და სულისთქმაც გვაქვს იმისთვის გამიზნული —
რომ იცოცხლონ საქართველოს მთა-გორებმა!



თბილისური პეიზაჟი. ფოტო ზ. დათუაშვილისა.

# დავით ასკურავა



# ხეჯი

მოთხრობა

მასპინძლოო, დაიძახეს ჭიშკართან.

— ნინო, გახედე თუ ქალი ხარ, აქეთ იძახიან, მგონი, — თქვა გიორგიმ.

ქალმა ხელსაქმე გადადო, გარეთ გავიდა და ვინ ბრძანდებითო იკითხა, შემდეგ ლაფაროდან ღრენით გამოვარდნილ ნაგაზს გაუწყრა.

ძელსკამზე გაშოტილი გიორგი წამოჯდა, მხრებზე მაზარა წამოიხურა და მუგუზლით შუაცეცხლს შეუჩიჩხურა. ღრიჭოდ დარჩენილ კარში ეზოში მომავალი ფოსტალიონი, ცის ირიბი ნაჭერი და ბლის ხის დათოვლილი ტოტი მოჩანდა.

— მობრძანდით, ყარამან ჩემო, მობრძანდით, — ზღურბლს მომდგარი სტუმარი შემოიპატიჟა მასპინძელმა, — მშვიდობის მაცნე იქნები, ღვთის წყალობით.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ, ჩემო გიორგი, — სტუმარმა მხარიღლივ გადაკიდებული მოზრდილი ჩანთა ჩამოიხსნა, იქვე ბოძზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოჰკიდა და ხელები ცეცხლს მიაფიცხა.

გიორგიც დაჯდა და მოთმინებით დაუგდო ყური სტუმრის ლაპარაკს. ყარამანი გაჭიანურებულ ზამთარს და ომს უჩიოდა.

— ჩემი ბიჭების ხომ არაფერი ისმის? — ცოტა არ იყოს გაბრაზებით იკითხა ენად ქცეული სტუმრის შემყურემ.

— იმ კვირას არ მოგიტანე შალვას და ევტიხის წერილები? უმცროსისაგან ამ ათი დღის წინ მიიღეთ მგონი.. არ სცალიათ ალბათ ყოველ..დღე წერილების საწერად, ომია.

— ვაი, შვილებო! — ამოიოხრა ნინომ.

— ისე, შეთხელდა წერილები, არა, ყარამან ჩემო?

— შეთხელდა, გიორგი ბატონო, ისე მტერი და ავად მახსენებელი შეგითხელდეს. იმასაც შეამჩნევდით, ამ ბოლოს დროს რატომ დავდიკარ ეზოეზო, შეფარვით. შენსკენაც იმიტომ გადმოვუხვიე, ახე გადავალ-მეთქი. გერვასის სახლის წინ გამვლელი ნამდვილად არა ვარ ახლა! ისევ არაფერი ისმის მისი გოგიტასაგან.

— რომ არ გაწყდა ის შეჩვენებული! — დაიბუბუნა გიორგიმ და სადღაც, ბლის ხის დაგრეხილი ტოტის იქეთ გახედა ბურუსით მოცულ სივრცეს.

— აბა, კაცო, ჭიაყელასავითაა, თავს და ბოლოს რომ მოაჭრი და მაინც ხვანცალობს. სტალინგრადის შემდეგ თავის აწევის საშუალება თუ ექნებოდა, აღარ ვიფიქრებდი.

— თავი და ტანი გაუხმეს, ქაჯის სული უდგას, ბატონო, — თქვა ნინომ.

გიორგიმ მეუღლეს გადახედა. ქალს ბუხერიდან გამოელაგებინა კვერის მჭადის ყუა, დერგის ყველი, პრასის მწნილი და ქმრის გამოხედვა რომ დაიჭირა, რაღაც ანიშნა. მიუხვდა გიორგი.

— არაყი დავლიოთ, თუ ღვინოს ისურვებთ? — შეეკითხა სტუმარს.

— მგონი არაყი აჯობებს, — უცბად შეუთანხმდა ყარამანი, თან ფეხზე წამოდგა, — ასე ზეზეულა დავლიოთ, მეჩქარება.

— დაჯექი, კაცო, — თითქმის ძალით დასვა გიორგიმ სტუმარი.

პირველი ორი სასმისი ძუნწად ნათქვამი სადღეგრძელოებით დაცალეს. მესამე გიორგიმ ასე დაიწყო:

— კარგად იცი, შენ, ჩემო ყარამან. ამ ჩვენს კუთხე-მუხუროში ყოველი მეორე თუ არა, მესამე სახლი ჩემი აშენებულია. სვეტები, რომ სვეტებია, ისინიც არ დამიმსგავსებია ერთი სახლისა მეორისას. დღისით რომ ვაშენებდი, ღამით ვფიქრობდი სადმე რაიმე ხინჯი ხომ არ გამეპარა-მეთქი, ყოველ გასაშალაშინებელ ფიცარს ისევ ფიქრში ვზომავდი, ვასწორებდი.

— ეს ვინ არ იცის, გიორგი, პირადად მე...

— მაცალე, ყარამან, მე კი არ ვაყვედრი ვინმეს ჩემს ნახელავს, მშვიდობაში მოგახმაროთ ყველას. მაგრამ ახლა ვფიქრობ, ვისთვის ვაშენებდი ასე მკვიდრად, ფაქიზად, საშვილიშვილოდ, ვისთვის?

გიორგიმ მუშტი მუხლზე დაიკრა და მეზობელს მიაჩერდა. ყარამანს არაფერი უპასუხნია, ალბათ, მოხდა რამეო გაიფიქრა.

— ვინ ვარ ახლა მე, ჩემო ყარამან. რა ვარ? არავინ, არაფერი. აგერ ამდენი ხანია არაფერი გაუკეთებია ჩემს ხელს. სარაბახი არ გამიწყვია, კარ-ფანჯარა არ მომიჩუქურთმებია. ვზივარ ასე, ურმის ფოსოს თუ გამოვუცვლი ვინმეს, ან ნაჯახის ტარს გავუთლი. ეს არის და ეს. გასულ ხუთშაბათს გაღმა უბანს ვიყავი, ივანე შემხვდა. შინ მიმიპატიჟა, სახლი ჰქონია გასამართავი. თუ ფულს მადროვებ, ორი დღის შემდეგ ამოვალ, ხელსაწყოს წამოღებაში მოგეშველები და ბარემ დამამთავრებინე ეს საქმეო. ფული რას მიქვია, კაცო, ფულს იქეთ მოგცემ, ოღონდ ერთი ცაცხვის საბოყვეზე ლარი გამასმევინე, მერე მოვკვდე თუ გინდა, აღარ ვჩივი-მეთქი, ვუთხარი. შევთანხმდით, ყარამან ჩემო, ის ორი დღე იარაღის გამართვას შევალიე...

გიორგიმ შეისვენა. თანამოსაუბრეს თვალი შეავლო და სასმისი აიღო.

— ჰოდა, იმ პატიოსანმა კაცმაც მიღალატა, ჩემო ყარამან, ორი დღე კი არა, აგერ კვირა გათავდა და არ ჩანს. მივაკითხავ-მეთქი, გადავწყვიტე, მაგრამ, ვერც ამას ვახერხებ, სხვაგვარად არ იფიქროს-მეთქი...

— შენზე რა უნდა იფიქროს ივანემ, ჩემო გიორგი, იმ შაბათს შვილის დაღუპვის ცნობა მივუტანე.

— არ დაქცეულა უბედური?! — ამოიგმინა გიორგიმ და ხელი მუხლზე შემოირტყა, სასმისიანი მარჯვენა კი აუკანკალდა, დაფერდებული ჭიქა მჭადის ყუასთან მიიტანა და არაყი აპკურა.

დამდურლულივით წამოვარდა ფოსტალიონი, ჩანთას ხელი წამოავლო და გარეთ გავიდა, კარგად მენახეთო, შემოიძახა ხრინწიანი ხმით. ნინო მაინც გაუყვა სტუმარს.

— რა ვქნა, ჩემო დაო, — საცოდავად მოიკუნტა ყარამანი, — შემძულდა თავი, ადამიანთან პირი ვერ გამიხსნია ისე, სხვისი ან მისი უბედურება თუ არ დავიყრანტალე. მივუგდებდი ვინმეს ამ სატიალე ჩანთას, მაგრამ ვის? ეჰ...

შინ შემობრუნებულ ნინოს კერასთან თავდახრილი დაუხვდა გიორგი. ცრემლის დენას არ იყო დაჩვეული, თორემ უყველაფრით ჩანდა, გულდვიძლი რომ ეწვოდა.

უბრად ისხდნენ გვიან ღამემდე. მერე გიორგი ადგა, ოდა სახლში ავიდა და დამჭერი ბავშვივით ჩაიფუთნა საბანში. თვალი არ მოუხუჭავს, გაუნძრევლად იწვა და ჭერს მისჩერებოდა. ნაშუაღამევს, თოვა რომ შეწყდა და ქარიც ჩადგა, უხმაუროდ ადგა, ჩაიცვა და უეხაკრეფით გავიდა გარეთ.

დღესავით ნათელი იყო თოვლიანი ღამე. ოკრობოკროდ გატეხილი მთვარე ტუჩმოტეხილ კოპესავით ეკიდა მარნის იქით, მთის წვერზე. ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ შეაკრთო მოხუცი, ტანში გააჟრჟოლა. ეძინა მთელ სოფელს. სახლის გვერდით სამ ტოტებგანიერ ბლის ხეს რომ შეავლო თვალი, ძუნწად გაეღიმა. ხეები ბიჭების დაბადების დღის აღსანიშნავად ჰქონდა დარგული. უცბად დაიზარდნენ. ხარბად აიყარეს ტანი. გიორგიმ კარგა ხანს უცქირა ხეებს, რაღაც შეამოწმა, რაღაც დაიანგარიშა. მერე ლაფაროში შევიდა, იქიდან გრძელი მარწუხი და ხის ნიჩაფი გამოიტანა. კიბე სახლზე იყო მიყუდებული, სხარტად აუყვა ზევით. სახურავზე ნელა დააბიჯებდა, მოქნილად. ჭირხლმოკიდებული თოვლიც სასიამოვნოდ ხრაშუნობდა ფეხქვეშ. გადმოთოვლას რომ მორჩა, მარწუხი და ნაჯახი აამუშავა.

განთიადისას მორჩა საქმეს — სახურავი გადახადა სახლს.

შეიცხადა ნინომ ქმრის ნამოქმედარი. გიორგი იღიმებოდა და ამან უფრო დააფრთხო ქალი.

— დიდი ხანია ვფიქრობდი სახლის გადმოდგმას. ხომ ხედავ, აგერ, გაიზარდნენ ხეები, — ბლის ხეებზე მიუთითა ცოლს, — გაიზარდნენ და სახლის წინა მხარე დაჩრდილეს. ჰოდა, სახლში თუ მზემ არ შემოიხედა...

ნაუცფათევად წაიხემსა და კვლავ საქმეს მიაშურა. უჩვეულოდ ემსუბუქებოდა გარჯა, ოკეც ენერგიას გრძნობდა სხეულში. შუადღის პირზე, გერვასი რომ ესტუმრა და სახლის დაშლის მიზეზი ჰკითხა, გიორგიმ დინჯად აუხსნა:

— წუხელ, შუაღამისას, რაღაც ხმა შემომესმა, მივხვდი, ანძის ფეხი გატყდებოდა. ავედი, შენ ხარ ჩემი ბატონი, სხვენზე და მართალი არ გამოდგა?! ის კი არა დედოკავიც გადატეხილიყო შუაწელში. თოვლს ვერ გაუძლო ალბათ.

— ვითომ? — დაბნევით შეეპასუხა მეზობელი, — არც ისე დიდი ჩანს თოვლი, სახლიც ახალი აშენებულია, მგონი.

— მართალი ბრძანებაა, ჩემო ბატონო. ამ ათი წლის წინ ავაშენე. მაგრამ ხის მასალა არ გამომადგა, ცუდ მთვარეზე იყო მოჭრილი. აგერ ყურეს შეხედე, ჩრდილოეთის მხარეს, შელახულია. საწვიმარი მხარეა, ჩემო გერვასი და ამასაც გამოვცვლი-მეთქი, ბარემ.

შემდეგ გიორგის საქციელით გაკვირვებული მეზობლები რომ მოდიოდნენ და სახლის დაშლის მიზეზს ეკითხებოდნენ, გიორგი თავისებურად, გულდინჯად პასუხობდა ყველას, მიზეზად ხან რას ასახელებდა და ხან რას. ერთს რომ ეტყოდა, სამოსახლო არ გამომადგა, მიწა ჩაიზნიქა და სახლი დაფერდდაო, მეორეს უმტკიცებდა, რომ ოჭვათოს წყალმა სარაბახი დაულპო და აუცილებელი იყო შეკეთება. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ყველა მიზეზად ნათქვამისა სჯეროდა გიორგის, სჯეროდა და თავის დარწმუნებასაც ახერხებდა: ვითომ მართლა დამპალიყო სარაბახი, მართლაც გატეხილიყოს დედოკავი და მართლაც შელანძლულიყო კაჟივით მაგარი წაბლის ფიცრით ნაშენი ჩრდილოეთის ყურე.

არ იძინებდა გიორგი. დღისით რომ ფიცრებს აშალაშინებდა და დაბალი ხმით ღიღინებდა, ღამით მორებს რანდავდა, ლარში გამოყავდა და სულის სიღრმემდე სიამოვნებდა, რომ ღამის სიბნელესა და სიჩუმეში ჩაძლულ სოფელს მისი ნაჯახის ცემის ხმა უცლიდა ექოდ.

# ქალაქი და სოფელი

## შენიშვნები მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების საკითხებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა მოითხოვს. — აღნიშნულია ჩვენი პარტიის პროგრამაში. — მრეწველობის სულ უფრო რაციონალურ განლაგებას. რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ეკონომიკას, რაიონების კომპლექსურ განლაგებას და მათი მეურნეობის სპეციალიზაციას, თავიდან აგვაცილებს მოსახლეობის მეტისმეტ სიმჭიდროვეს დიდ ქალაქებში. დაგვეხმარება იმაში, რომ დავძლიოთ არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის". მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული გაძღოლა მოითხოვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგთა ისეთ სწორ ტერიტორიულ განლაგებას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მაღალ ინტენსიფიკაციას, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების პირობებს.

ბუნებრივია, რომ ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების და სასოფლო დასახლებული ადგილების ტიპებიც მათი მეურნეობის დარგთა განვითარების შესაბამის შინაარსსა და ფორმას უნდა ატარებდეს. მცირე, საშუალო და მსხვილი ქალაქების ზრდა-განვითარება (1926-1970 წწ. საქართველოში ქალაქთა რაოდენობა გაიზარდა 26-დან 51-მდე, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებები და მუშათა დასახლება 16-დან 57-მდე) მიზნად უნდა ისახავდეს მოსახლეობის თავმოყრას არა მარტო მსხვილ და საშუალო ქალაქებში (ქალაქის მოსახლეობა 1926-1970 წწ. 22 პროცენტიდან გაიზარდა 48 პროცენტამდე, ხოლო სოფლის მოსახლეობამ იკლო 78-დან 52 პროცენტამდე), არამედ გეგმაზომიერად უნდა ნაწილდებოდეს მოსახლეობა მსხვილ სოფლებში და დაბებშიც. ამასთან, მაქსიმალურად შენარჩუნებულ უნდა იქნეს სასოფლო დასახლებული პუნქტებიც (სასოფლო დასახლებათა რიცხვი 1963-1970 წწ. შემცირდა 86 ერთეულით).

მოსახლეობის არათანაბარი განაწილება გვხვდება სასოფლო დასახლებულ ადგილებშიც. აღმოსავლეთ საქართველოში დასახლებული პუნქტების რაოდენობა ჭარბობს (51,1 პროცენტი), მაშინ როცა დასავლეთ საქართველოში უფრო მეტი მოსახლეობა ცხოვრობს (53,4 პროცენტი). საქართველოს სასოფლო რაიონებში მცხოვრებთა რაოდენობიდან ყველაზე მცირე რიცხვი მოსახლეობისა, მოდის დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონაში — 1,6 პროც.; სამხრეთ-თრიალეთის მეცხოველეობის და მეხილეობის ზონაში — 2,7 პროც.; ხოლო ყველაზე მეტი მოსახლეობა მოდის კოლხეთის სუბტროპიკულ ზონაში — 35,8; იმერეთის მაღლობის, რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონაში 13, ქვემო ქართლის დაბლობის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონაში — 10,9 პროცენტი და ა. შ.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ დასავლეთ საქართველოში ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდის 85,1 მცხოვრები, მაშინ როცა აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე არ აღემატება 40,4 მცხოვრებს. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე აღმოსავლეთ საქართველოში მოდის 52 სოფლის მცხოვრები. დასავლეთ საქართველოში კი —174.

მცირე, საშუალო და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები უნდა გაიზარდოს არა მარტო ადმინისტრაციული რაიონების, არამედ ტერიტორიის, მიწის წიაღისეულის ათვისებისა და სხვა ფაქტორების დამახასიათებელი თვისებების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სამრეწველო ქალაქების, ასევე სასოფლო დასახლებული ადგილების ზრდა-განვითარებას.

საქართველოს მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განლაგებამ და მათმა სპეციალიზაციამ დასახლებათა ფუნქციური დიაპაზონი მნიშვნელოვნად გააფართოვა, შეიცვალა სოფლების საწარმოო მიმართულებაც, სასოფლო დასახლებათა ტერიტორიებზე აშენდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი სამრეწველო და სხვა დანიშნულების საწარმოები. მიუხედავად ამისა, კვლავ დიდად საგრძნობია სოფლის მოსახლეობის მასობრივი ლტოლვა ქალაქებისაკენ.

საშუალო და მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის დიდი რაოდენობით თავმოყრამ რომ არ გამოიწვიოს ბუნებრივი და შრომის რესურსების არათანაბარი განაწილება, კოლექტიური, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების შეფერხება, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება უნდა შევუფარდოთ საწარმოო ძალების განლაგებას; ნაწილი საწარმოებისა მსხვილ ქალაქებიდან გატანილ უნდა იქნეს ბუნებრივ და შრომის რესურსების ახლოს, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პირობების შექმნას, ხმაურისა და გაბინძურებული ჰაერის შემცირებას და ა. შ.

ცხადია, რომ მსხვილი ქალაქებიდან სამრეწველო საწარმოთა ნაწილის გატანა სოფლად და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელ საწარმოთა რაციონალური განლაგება — გამოიწვევს სოფლის მოსახლეობის ადგილზე დასაქმებას, მისი კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის სწორ ტერიტორიულ განაწილებას და ქალაქის ტიპის დაბების წარმოქმნას, რომელიც შეამცირებს სოფლის მოსახლეობის ქალაქებისაკენ საცხოვრებლად ლტოლვას, საშუალო და მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის დიდი რაოდენობით თავმოყრას.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ პირობად ითვლებოდა ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების დაბალი ტექნიკა, მისასვლელი გზების უქონლობა და სხვა ფაქტორები, მაგრამ ყველა ეს დაბრკოლება დაძლეული იქნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მოსახლეობამ თავი მოიყარა მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის ხელსაყრელ ადგილებში.

ახალი სამრეწველო ობიექტების ტერიტორიებზე მოსახლეობის მატება შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს, თუ იგი გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან გამოთავისუფლებული შრომის რესურსების (მუშახელის) ხარჯზე, მაგრამ თუ მოსახლეობა თვითნებურად ტოვებს სოფლებს და მთიდან ბარში ან ქალაქებში ვადადის საცხოვრებლად და ადგილი აქვს ათვისებული მიწების (ტერიტორიების) გაუკაცურებას, ეს არ იძლევა სასურველ შედეგს და ცუდ გავლენას ახდენს რესპუბლიკის ეკონომიკაზე.

მოსახლეობის თვითნებურად ერთი სამყოფელი ადგილიდან მეორე ადგილზე დასახლება იწვევს მოსახლეობის არათანაბარ განაწილებას, შრომის რესურსების ერთ ადგილზე სიჭარბეს და მეორე ადგილზე ნაკლებობას; ეს კი კარგი ამბავი არ არის. ამას გარდა, ისიც აღსანიშნავია, რომ სოფლებში შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების შენობები, მაგრამ არა სოფლის გარდაქმნისათვის დამუშავებული პერსპექტიული გენერალური გეგმის მიხედვით; და ეს ხდება იმიტომ, რომ სოფლები არ არის უზრუნველყოფილი სოფლის განაშენიანების გენერალური გეგმით და პროექტებით. ეს პროექტები კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოფლის სწორი განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის ამოცანის შესრულებისათვის.

„სახმშენი", სოფლის მეურნეობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროები, საპროექტო ინსტიტუტებთან ერთად, დაინტერესებულ უნდა იყვნენ იმით, რომ მომავალი პერსპექტიული სოფლები და დაბები არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით და ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებით პასუხობდნენ საბჭოთა ადამიანის მზარდ მოთხოვნებს, აკმაყოფილებდნენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის ცხოვრების კულტურის დონის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებას ქალაქის დონემდე.

ამჟამად სასოფლო მშენებლობაში ინერგება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ტიპიური პროექტებით მშენებლობის გამოცდილება, მაგრამ აქ ბევრ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანოები (სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა) ნაკლებ ყურადღებას უთმობენ იმის მოწესრიგებას, რომ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დანიშნულების შენობებს შორის დამყარებული იყოს საქმიანი კონტაქტი, ყველაფერი ერთ ანსამბლში იყოს მოქცეული. ახლად აშენებული შენობების უმრავლესობა სრულად არ პასუხობს თანადროულობას (საცხოვრებელ სახლში არ არის გათვალისწინებული აბაზანა, სამზარეულო, ტუალეტი და საკუჭნაო), არ იცავენ საცხოვრებელი სახლის და სხვა დამხმარე შენობების საკარმიდამო ნაკვეთზე განლაგების ელემენტარულ წესებს, არ სარგებლობენ „საქსოფლმშენსახპროექტის" მიერ დამუშავებული საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების პროექტების ალბომით. ინდივიდუალური მშენებლობა თვითდინებაზეა მიგდებული და არ პასუხობს პერსპექტიული სოფლის დაგეგმარებისა და განაშენიანების მოთხოვნებს. ამიტომ სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და რაიონული საბჭოების აღმასკომების არქიტექტორებმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ იმისათვის, რომ ინდივიდუალურ მშენებლობაში დაინერგოს ახალი ტიპის შენობების მშენებლობის პრაქტიკა, როცა გათვალისწინებული იქნება წყალსადენიც, გაზიც და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი სოფლების ცხოვრების კულტურის დონე თანდათანობით უახლოვდება ქალაქის ცხოვრების კულტურის დონეს. აქაც ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი; 4.645 სასოფლო დასახლებულ პუნქტიდან ის სოფლები, რომელთა მოსახლეობა 100 სულზე ნაკლებია, შეადგენენ — 24,71 პროცენტს. ასეთი პატარა სოფლები ძირითადად მთის რაიონებზე მოდის. ასე, მაგალითად, ლენინგორის რაიონში 100-ზე ნაკლებ მოსახლიანი სოფელია — 101, დუშეთში — 209, ჯავაში — 104, ცხინვალში — 64, მესტიაში — 58, თიანეთში — 29, ონში — 21, გულრიფშში — 23 ზნაურში — 19 და ა. შ.

მცირემოსახლიანი სოფლების არსებობა ამ სახით და მით უმეტეს მომავალში თუნდაც მარტო იმის გამო, რომ ისინი მოწყვეტილი არიან კულტურისა და განათლების კერებს, არ არის გამართლებული; 4.645 სოფლიდან მასობრივი ბიბლიოთეკა არა აქვს — 37,1 პროცენტს, კინოდანადგარი — 70 პროცენტს, საკლუბო დაწესებულებები — 62,4 პროცენტს და ა. შ.

ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ სოფლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი; საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიული



არიფულა მახაევი ვასილ კიკვიძის როლში.

# ძვირფასი საჩუქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წელს თბილისის რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებში იყო ერთი დაღესტნელი ახალგაზრდა კაცი — ხაიბულა აბდულგაფუროვი; იგი აღზარდა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორ-პედაგოგმა მ. თუმანიშვილმა. ხაიბულა პირველი იყო იმ ავარიელთა შორის, რომელთაც რეჟისორის დიპლომი თბილისში მიიღეს.

თავის აღმზრდელებს რომ ეთხოვებოდა, ხაიბულამ სიტყვა მისცა მათ, რომ ინსტიტუტს იგი თავისებურ საჩუქარს მიუძღვნიდა. მან არ გატეხა თავისი სიტყვა.

ამ დღეებში გამზათ ცადასას სახ. მახაჩყალის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა მის მიერ დადგმული სპექტაკლი — ქართველი მწერლის ვანიონ დარასელის გმირული დრამა „კიკვიძე“.

დაღესტნის ასსრ ხელოვნების დამსახ. მოღვაწის ხაიბულა აბდულგაფუროვის ამ დადგმამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. მას მაღალი შეფასება მისცეს დაღესტნელმა და მოსკოველმა თეატრალურმა კრიტიკოსებმა.

...თეატრის ფოიეში გაისმის მხედრული ბრძანება. სახელგანთქმული მე-16 დივიზიის მეომრები მწყობრში დგებიან, მარშის ხმაზე შედიან დარბაზში და ადიან სცენაზე. ასე იწყება ეს სპექტაკლი და მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება სამოქალაქო ომის შფოთიანი დღეები. მკაფიოდ არის გამოკვეთილი სახეები უბრალო ადამიანებისა, რომლებიც მთელ ძალ-ღონეს, თვით სიცოცხლესაც სწირავენ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია თვითონ დივიზიის მეთაური ვასილ კიკვიძე, რომლის როლს შთაგონებით ასრულებს დაღესტნის ასსრ დამსახურებული არტისტი არიფულა მახაევი.

თეატრმა შექმნა მშვენიერი პოემა რევოლუციაზე, გმირობაზე, იმათზე, ვინც თავდადებით იბრძოდა მომავალ თაობათა ბედნიერებისათვის.

**არიფ რასულოვი,**
თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.
ქ. მახაჩყალა.

---

მდებარეობა და კლიმატური პირობები დამპროექტებლების დიდ შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს. საპროექტო ინსტიტუტებმა უნდა დაამუშაონ ძველად დასახლებული სოფლების რეკონსტრუქციის ან მათი სხვა სოფლის ტერიტორიაზე მიერთების გეგმები.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები იმის თაობაზე, რომ ქალაქი და სოფელი კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ დავუახლოვოთ ერთმანეთს, დამპროექტებელ და მშენებარე ორგანიზაციებს ავალებს შენობების დაპროექტება მოახდინონ ისე, რომ შემდგომ საჭირო აღარ იყოს რისიმე გადაადგილება; პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ სოფლის ცენტრის მოწყობაზე, სოფლის ცენტრში უნდა განლაგდეს მისი მაპროფილებელი შენობები, დაიგეგმოს გზები, მოედნები, კულტურისა და დასვენების პარკი, წყალ-კანალიზაცია, გაზი და მათს გარშემო მოსახლეობის სამოსახლო ნაკვეთები; ამ გზით უნდა წარიმართოს პერსპექტიული ახალი საბჭოთა სოციალისტური სოფელი. სოფლის ცენტრის გარშემო კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა სამოსახლო ნაკვეთებმა, ქუჩებმა და მოედნებმა უნდა შექმნას არქიტექტურულ-მხატვრული ანსამბლი, ქუჩებში და მოედნებში უნდა მოეწყოს გაზონები და ყვავილნარი. ქართული ტიპის საცხოვრებელ ეზოს უნდა ამშვენებდეს ვაზის ტალავერი (თალარი) და დეკორატიული კუთხე ყვავილნარით, ბუჩქებით და ფორმამიცემული ხის ნარგავებით. საცხოვრებელი სახლების ერთი ხაზის გასწვრივ განლაგებამ, ფასადების გადაწყვეტის ნაირსახეობამ სოფელს უნდა შემატოს მიმზიდველი სახე. დაცული უნდა იქნეს ქართული ტიპის სახლის ელემენტები, რომლებიც თანამედროვე არქიტექტურულ ანსამბლს ამშვენებს და მათი ახალთან შერწყმით უფრო მხატვრულ სახეს მიიღებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართა, სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დასახა უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ბოლშევიკური პრინციპულობით და გულწრფელობით ამხილა მიზეზები, რომლებმაც შეაფერხეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარება ამ ბოლო წლების მანძილზე. რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა, სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა, მშენებლებმა და დამპროექტებლებმა ამიერიდან მთელი თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ ისე, რომ ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიულმა განაწილებამ უზრუნველყოს საწარმოო ძალების მაქსიმალური გამოყენება, საგეგმო დავალებათა შესრულება, წარმოების ეფექტიანობა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფა; ყოველივე ამან უნდა განაპირობოს სახალხო მეურნეობის განვითარება, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა. აი ის ძირითადი ამოცანა, რომელსაც ისახავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

**ზურაბ ალუდიშვილი,**
ტექნიკურ მეცნ. კანდიდატი.

**აკაკი შანიძე**

# ნატვრის ნაწილაკი მთის კილოებში

ნატვრას ჩვეულებრივ **ნეტავი** (ან **ნეტა**) სიტყვით გამოვხატავთ „ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა“. (ი. ჭავჭ.). როგორც აღნიშნული მაქვს, **ნეტავი** წარმომდგარია ამისგან: **ნეტარ ვინ.** ამიტომაა, რომ მასთან მესამე პირის ფორმა იხმარება.[1] ნეტავი დამანახვა — ნეტა(რ), ვი(ნ) დამანახვა. **ვინ** აქ „ვინმე“-ს ნიშნავს.

ნატვრის ნაწილაკი უ-**ვინ**-ოდაც იხმარება სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა: ნეტარ, ნეტა, ნეტარა. ამათგან **ნეტა** შეკვეცილი ფორმაა, **ნეტარა** — გავრცობილი. **ნეტარ ვინ** კი შეიძლება შეიკვეცოს და ჯერ **ნეტავი** მოგვცეს, შემდეგ კი — **ნეტავ**.

ორიოდე მაგალითი ვაჟას ნაწერებიდან: ვინა ხარ, **ნეტარ**, დედილო? („ბახტრიონი“); რას ეშმაკს დაუჭერიხარ, გამაგებინა **ნეტარა** („გოგოთურ და აფშინა“); **ნეტავ**, მაჩვენა კიდევა ფშაველის ჯარის ფარაო! („ბახტრიონი“). **ნეტავი** და **ნეტა** ხომ ჩვეულებრივია: **ნეტა**, სისხლის მსმელ მტერს მეც მოვეკალი („შვლის ნუკრის ნაამბობი“).

მთის კილოებში (ფშაურში, ხევსურულში) ნატვრის გამოსახატავად იხმარება **რა** ნაწილაკიც, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში, სახელდობრ კითხვით სიტყვებთან: იგი დაერთვის **რა** და **ვინ** ნაცვალსახელებს, **ვისი** კითხვით-კუთვნილებითს და **სად, როდის (როს)** და **როგორ** ზმნიზედებს. ამათგან ნაცვალსახელები ბრუნვიანი სიტყვებია და ეს ნაწილაკი უშუალოდ და უცვლელად ერთვის რომელიმე ბრუნვის ფორმას (სახელობითისას, მოთხრობითისას, მიცემითისას, მოქმედებითისას და ვითარებითისას). მისი კითხვით სიტყვაზე დართვა საკმარისია, რომ ნატვრა გამოიხატოს, მაგრამ ხშირია, რომ მასთან ერთად **ნეტარ** ან მისი ვარიანტიც იყოს წინადადებაში (**ნეტავი** და სხვ.).

ფშაური კილოდან ეს ნაწილაკი ვაჟა-ფშაველას ნაწერებშიც გადავიდა, ბაჩანასაშიც.[2] ეს მოვლენა უფრო პოეზიის ენას ახასიათებს. იმ მაგალითებიდან, რომლებიც აქ არის მოყვანილი, მხოლოდ ერთია პროზიდან (**როგორ-რა**), ყველა დანარჩენი ლექსებიდან არის ამოღებული.

ნატვრის **რა** ნაწილაკი შეიძლება გაორკეცდეს და **რარა** მოგვცეს, რაც გაძლიერებითი ფორმაა. გაორკეცება შეიძლება დაკლებული მარცვლის შევსების მიზნით იყოს გამოწვეული ლექსში.

აღნიშნულ ნაწილაკს წინამავალ სიტყვასთან წერენ და ბეჭდვენ, ზოგჯერ კი დეფისითაც გამოჰყოფენ, ან სულ განცალკევებულად წერენ. სჯობს, დეფისით გამოეყოს წინამავალ კითხვითს, ხოლო გაძლიერებული **რარა** ერთად დაიწეროს და წინა სიტყვას დეფისით შეუერთდეს.

მაგალითები:

**რა-რა (რაი-რა)**

**რაი-რა** ღმერთი გაუწყრა?
თვალი შააგდეს მზირთაო.

(ხევს. № 677).[3]

პირველი სტრიქონის სიტყვები ამას ნიშნავს: ნეტავი, რა ღმერთი გაუწყრა!

წუხელაც სიზმარი ვნახე
**რა-რა** იქნება **ნეტავი!**

(„გველის მჭამელი“).

ამ შემთხვევაში **რა-რა** თავისთავად შეიცავს „ნეტავი“-ს (**რა-რა** იქნება — ნეტავი რა იქნება), მაგრამ დამატებით კიდევ არის ნახმარი „ნეტავი“.

**რამ-რა**

ორი ფშაველი შეექცევა სასმელს და ერთმანეთს ელექსებიან:

— უწვერო გვყავის ბაიდო.
**რამ-რა** დაგოლა, რა იყო?
— ჯიგრაულთ სარწყავ მაუგდეს,
ნახევარ მუქუ წაიღო.
— რა დიდი სოფელ ყოფილა!
ქალაქი იყო, რა იყო?

**შენიშვნა.** მუქუელი ბაიდო ქოსა იყო. მუქუ პატარა სოფელია ზემო ფშავში, შუაფხოს ზემოთ. იქ 1913 წელს სამი კომლი ცხოვრობდა. ჯიგრაულები მუქუს თავზე ცხოვრობენ (მუქუ დაბლაა, ჯიგრაულთა — მაღლა).

აივსო დევთა ლეშითა
ტყე-ველი, დაბლა ხევები.
**რამ-რა** დაზარდნა ესეთნი?
თითო გერგეტის სწორია!

(ვაჟა, „კოპალა“).

მთაო, შე შეუპოვარო,
**რამ-რა** გაგზარდა შტერადა?

(ვაჟა. „მთაო შე შეუპოვარო“).

დამწკრივებულნი წეროni...
რა იყო, **რამ-რა** არია?

(ვაჟა. „არწივი და ყვავი“).

მოყვანილ მაგალითებში ნაწილაკიანი **რამ-რა-ს** მნიშვნელობაა: ნეტავი რამ: რამ-რა დაგოლა — ნეტავი რამ დაგვალა; რამ-რა დაზარდნა — ნეტავი რამ დაზარდნა; რამ-რა გაგზარდა — ნეტავი რამ გაგზარდა.

**რას-რა**

უცნობი პირი თევდორე ბეწუკლიშვილს.

— თელავით **რას-რა** მამიტან,
რო სულ' მიმწევდეს მაძღარსა?

(აპოლონ ცანავას სადოქტორო დისერტაციიდან).

ჰყიტურა (გიორგი დავითაშვილი) ხთისოს:

— დიაკონო ხუცისაო,
ხეთქა[4] შენის მუცლისაო!

ხთისო პასუხად ჰყიტურას:

— ჩემ' მუცელი ჰყიტურასა
ნეტა(რ), **რას-რა** უშლისაო?!

(იმავე დისერტაციიდან).

მოყვანილ მაგალითებში **რას-რა** ამას ნიშნავს: ნეტავი რას. ოღონდ მეორე შემთხვევაში „ნეტარ“ არის დამატებული.

**რას-რარა**

ჯაბანი ვინმე გაბიდოურს:

— აქად გადმოჭე, ჯაბანო,
ამ თავის დედიძმებთანა.
— მანდა რაისად გადმოვჭდე,
**რას-რარა** მეტყვით, ნეტარა?!
ქისტის ქალს კიდევ აწვენთა
ბაღლიათ თინიბექსთანა?

(ივრის ფშავში ჩავიწერე. 3.X. 1913 წ.).

დაღონებულხარ, დედაო,
**რას-რარა** ჰფიქრობ შვილზედა?

(ვაჟა. „მაცნე“).

ორსავე მაგალითში **რას-რარა** იმასვე ნიშნავს, რასაც **რას-რა**, ე. ი. ნეტავი რას.

**რაით-რა**

მითხრეს: ქაჯია, ქერქაი —
ორნივ ერთუცის მკრებია,
ბუნტოჩიკობა დაიწყეს,
მიძრეს და მოძრეს ზღვებია.
ნეტარ, **რაით-რა** ომობენ?
მე ხო სრუ მიკვირს ეგია:
არ ებადების მახვილი,
ფირჩხილის მოსაკვეთია.

(ხევს., № 335).

ამ მაგალითში „ნეტარ“ არის დართული, მაგრამ **რაით-რა** ომობენ უ-„ნეტარ“-ოდაც ამას აღნიშნავს: ნეტავი რაით ომობენ?

**რად-რა**

**რად-რა** დავკარგავ იმედსა,
**რად-რა** ჩავიცვამ შავებსა!

(ვაჟა. „ფშავლის სიმღერა“).

**რად-რა** — ნეტავი რად, ნეტავი რატომ.

**რად-რა** გამზარდა დედამა,
ნანას რად მეუბნებოდა.

(ბაჩანა, „მეომრის სიმღერა“).

ს. ყუბანეიშვილის გამოცემაში (1938) „რადრა“ ერთად არის დაბეჭდილი. ივ. ქეშიკაშვილიც შეერთებულად ბეჭდავს და ხსნის: **რადრა** — რისთვის, რატომ („თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას ლექსიკა“. 1969). „რისთვის“ აქ გადმოცემულია „რად“ ფორმით. **რად-რა** კი ამას ნიშნავს: ნეტავი რად.

ჯავარა: აცა, ნუ ჰკეტავ კარებსა,
მეც თან გავყვები ქალებსა.
ჩონქარა: **რად-რა** ნუ ვკეტავ, შენ' დედა
ენაცვლოს შენებს თვალებსა!

(ბაჩანა. „წაწლობა“. 322).

დაბეჭდილია „რადარ ნუ ვკეტავ“. ბეჭდვის შეცდომა მგონია და გავასწორე.

**ვინ-რა**

წინ შემეყარნენ კაცები...
**ვინ-რა** არიან ნეტავი?

(ბაჩანა. „სიზმრად“. 101).

აქ „ვინ-რა“ საკმარისია, რომ „ნეტაი ვინ“ გამოხატოს, მაგრამ დართული აქვს კიდევ „ნეტავი“.

**ვინ-რა** შაგიკრავს კუბოსა,
**ვინ-რა** აგინთოს სანთელი?

(ვაჟა. „ხმელი წიფელი“).

პირველი **ვინ-რა** აქ სახელობით ბრუნვაში იგულისხმება, მეორე კი — მოთხრობითში. ორივე ამას ნიშნავს: ნეტავი ვინ.

**ვინ-რარა**

ვინ მოგკლა, შვილო აბაო,
**ვინ-რარა** მხურავს ცათაო?

(ხევს., № 208).

დაბეჭდილია **ვინა რა**, მაგრამ შენიშვნაში (გვ. 401) ნათქვამია, რომ ბეჭდვითი შეცდომაა და გასწორებულია: ვინ-რარა.

**ვინ-რარა** მოგიკითხავის,
ქეთელაურის ნათქმელო!

(ხევს. № 330).

---

1 ა. შანიძე. ქართ. გრამატიკის საფუძვლები. 1953, 654.

2 ვაჟა-ფშაველას ლექსების სიტყვების ახსნისას მე ამ ნაწილაკს „გაძლიერებითი“ ვუწოდე (ვაჟა-ფშაველა. ტ. I. ლექსები. ალ. აბაშელის და ა. შანიძის რედაქციით. 1946, გვ. 376), რაც არ არის შესაფერისი. მნიშვნელობას სწორად ხსნის ალ. ჭინჭარაულიც (ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, გვ. 225-6).

3 ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. 1931 (შემოკლებით: ხევს.).

4 ა. ცანავას „ხეთქვა“ ეწერა.

**ვინ-რარა** გაძლიერებული **ვინ-რა** არის, ე. ი. ნეტავი ვინ.

**ვის-რა**

ნეტავ, სად მიდის ვაჟკაცი,[1]
**ვის-რა** მიუვა კარზედა?

(ვაჟა. „არწივი და ყვავი“).

**ვის-რა** წყალ-ჭალა გვისტუმრებს,
სად-რარა დავილევითა!

(ვაჟა. „ალუდა ქეთელაური“).

**ვის-რა** — ნეტაი ვის.

**ვის-რარა**

ზოგებს წისქვილებ უხვეტავ,[2]
ზოგებს უტეხავ სახლები.
**ვის-რარა** დაეკისრების
ბრუტიანაის მატყლები?

(ვაჟა. „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია“).

სურვილი სადამ გავგზავნე,
შავქმაზე ქალებურადა.
**ვის-რარა** კარზე მიდგება
შაჰყვირნებს ხარებულადა.
**ვის-რარა** გადაეხვევა,
ატირებს ქალებურადა!

(ვაჟა. „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, ტ. მე-7, 88; აგრეთვე, ტ. მე-7, 143).

**[ვისი-რა], ვისას-რა**

ვინა ხარ, ნეტარ, დედილო?
**ვისას-რა** მოსთქვამ ზიანსა?

(ვაჟა. „ბახტრიონი“).

**ვისას-რა** — ნეტაი ვისას.

**როდის-რა, როს-რა**

ნეტარ, **როდის-რა** მოგვივა,
ამბავს იკითხვენ ყმისასა.

(ვაჟა. „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, № 39).

---

[1] არწივზეა ნათქვამი.

[2] გაუქურდავს.

ნეტარ, **როს-რა** გათენდების?
ამოვხედავ მზეესაო.

(ხევს. № 356).

აგრილებულსა ჭიმლასა
**როს-რა** მაავლებ თვალსაო?
**როს-რა** დაზდგები, ვაშკაცო,
თავის სწორების მქარსაო?

(იქვე, № 323).

**როს-რა** მოვა გაზაფხული!
იმღერებდა დასტურიო.

(იქვე, № 358).

**როდის-რა** და **როს-რა** — ორივე ერთსა და იმავეს აღნიშნავს: ნეტავი როდის. მაგრამ პირველ ორ მაგალითში კიდევ „ნეტარ“ არის ნახმარი.

**სად-რა**

ნეტა(რ), სად-რა წაგივიდა
ე სთველი და ზაფხულიო?

(ხევს. № 358).

**სად-რა** წაგივიდა — ნეტავ, სად წაგივიდა.

**შენიშვნა: სად-რა** შეიძლება **სადმე**-საც ნიშნავდეს:

კლდეს **სად-რა** გადავვარდები,
ყორნები დამესხმიანო.

(ვაჟა. „მთას იქით მთვარე ამოდის“).

**სად-რარა**

ვის-რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს,
**სად-რარა** დავილევითა!

(ვაჟა. „ალუდა ქეთელაური“).

ქალავ, ქერი ხარ ჩარათი,
**სად-რარა** დაეთესები!

(ვაჟა. „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“).

მოყვანილი ორთოგრაფიით **ვის-რა** პირველ მაგალითში ასე უნდა გავიგოთ: ნეტავი ვის. მაგრამ შეიძლება **რა** წყალ-ჭალის განსაზღვრებად იგულისხმებოდეს. მაშინ აგრე უნდა დავწეროთ: ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს. რა წყალ-ჭალა — როგორი წყალ-ჭალა, რომელი წყალ-ჭალა. ხოლო **სად-რარა** იგივეა, რაც **სად-რა**, მაგრამ გარკვეცებით გაძლიერებული.

**როგორ-რა**

ბეჟანი იორამს: **როგორ-რა** გაიყიდება, ნეტარ, მაგ მგლის ტყავი?

(ვაჟა. „სცენები ფშავლების ცხოვრებიდამ“, ტ. მე-5, 372).

„როგორ-რა“ საკმარისია, რომ გამოხატოს „ნეტაი როგორ“, მაგრამ მას კიდევ [illegible] დამატებით „ნეტარ“.

* * *

ამგვარად, **რა** ნაწილაკი მთის კილოებში **ნეტავი**-ს მნიშვნელობით იხმარება, თუმცა მის მაგივრობას ყოველთვის ვერ გასწევს. როგორც ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა, მისი ხმარება გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული.

როგორც ვთქვით, ნატვრის ნაწილაკი **რა** გვხვდება მთის კილოებში და იქედან გამოსული მწერლების ენაში. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად მისი ხმარება ეგებ სხვაგანაც დადასტურდეს. ამჟამად მე მაინტერესებს ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“:

**რადმცა რა** ვჰკადრე მეფესა
თხრობა რასაცა ჭრელისა!
ოდენ ნახვისა მათისა
ნატრა მაქვს სანატრელისა (1489).

მოყვანილი ნაწყვეტის პირველ ტაეპში **მცა** ნაწილაკია ნახმარი. თუ ამას ამოვიღებთ, ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს:

**რად-რა** ვჰკადრო მეფესა
თხრობა რასაცა ჭრელისა!

თუ ამას დღევანდელ ქართულზე ვთარგმნით, შემდეგს მოგვცემს: ნეტავი რატომ უნდა გავუბედო მეფეს, რომ რაიმე ტყუილი ვუამბო? მომდევნო ტაეპის თარგმანი კი ასეთი იქნება: მე მხოლოდ მათი ნახვა მენატრება.

ასეთი გაგებით გამოდის, რომ აღნიშნულ ტაეპში ნატვრის ნაწილაკი ყოფილა ნახმარი, რომელიც **რად**-ისაგან **მცა** ნაწილაკით არის გათიშული: **რად**-მცა-**რა**. ეს **რა** არ შეიძლება პირდაპირი ობიექტი იყოს (**რამე**-ს მნიშვნელობით), რადგანაც პირდაპირ ობიექტად აქ „თხრობა“ არის: **რად**მცა-**რა** ვჰკადრე მეფესა **თხრობა** რასამე ჭრელისა.

---

## გრიგოლ ჯულუხიძე

# ხოხბის წყაროსთან

ც. ქაროსანიძეს.

**ეს რა ყოფილა**
**კახეთი!..**
**ჩუმად ვლოცულობ**
**ჩემთვის,**
**იყალთო**
**არსით მახედებს,**
**თრთის**
**ალავერდი თეთრი.**
**ცა ალაზანში**
**შფოთიან,**
**ხასხასა,**
**გულ-მკერდს ითბობს...**
**ხოხბის წყაროსთან**
**ბონდია,**
**ნისლში ირწევა**
**თითქოს.**
**ღვინობისთვეა**
**დამდგარი,**
**ზვარში —**
**ფერები მქრალი,**
**ინთება**
**ყველა შანდალი, —**
**მოგვყავს**
**ლამაზი ქალი!**
**ვაჟი სიყვარულს**
**მიელის, —**
**სუფრას უმატებს**
**მარილს,**
**არსენასავით**
**ძლიერი,**
**არსენაშვილთა**
**გვარის.**
**ეს გაუმარჯოს**
**უნაზეს**
**მხარეს,**
**ოქროში მცურავს, —**
**ამბობს მახარე,**
**მურაზის**
**ხვდება**
**სანატრელ მურაზს.**
**და სახოხბეთი**
**ხარხარებს,**
**ჭალას**
**ხოხბები გვიცდის,**
**მახარე,**
**ძმაო, მახარე! —**
**ძმა რა ყოფილა**
**ძმისათვის.**

# ეს დღეც გათენდა

**ისევ მიხმობენ,**
**ისევ მელიან...**
**და ეს ძახილი თვალებს მინათებს,**
**ჩემი ჩიტები მზეზე მღერიან. —**
**გაზაფხულია ოცდამეათე...**
**მოდის ივლისი,**
**ეს ივლისია**
**დღემდე ოცნებით ლამენათევი,**
**გზები იხსნება**
**და ეს გზებია**
**ყველა გამოვლილ გზებზე ნათელი.**
**ვერ მიმატოვეს შენზე ფიქრებმა,**
**მე მაინც შენი მზით ვარ გამთბარი,**
**ეს დღეც გათენდა,**
**ეს დღე იქნება**
**ყველა გამოვლილ დღეზე მართალი..**
**უნდა ბრწყინავდე,**
**უნდა მახსოვდე;**
**ჩემო პატარა რწმენის მერცხალო...**
**ალარასოდეს,**
**ალარასოდეს,**
**ალარასოდეს,**
**ჩამომეცალო!**

# წ ვ ი მ ა

**...ისევ წვიმს და**
**ბუხრისპირას**
**გავათენოთ ღამე, მგონი,..**
**იმა მთის და იმა ბარის**
**დრო დამდგარა მოსაგონი,**
**გარეთ წვიმს და**
**წვიმა თითებს**
**უკაკუნებს სარკმელს რიდით,**
**ფანჯარასთან ნუშის ხე დგას**
**გაწუწული სტუმარივით.**

# მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი...

### ალიო მირცხულავას დაბადების 70 წლისთავის გამო



მოწინავე მოქალაქეობრიობის გრძნობა, ხალხისა და სამშობლოსადმი სამსახურის იდეა ქართულ პოეზიაში მუდამ უაღრესად ძლიერი იყო. ქართულმა საბჭოთა პოეზიამ, თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე, აიტაცა და გააგრძელა ეს კეთილშობილური ტრადიცია.

1921 წლის თებერვალი, როცა ოქტომბრის შუქმა საქართველოში შემოანათა, იყო მძაფრი გარდატეხა არა მარტო ყოფისა და ეკონომიკის, არამედ კულტურის, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის სფეროშიც. ახალ დროს თავისი მომღერლები სჭირდებოდა და ისინი მალე გამოჩნდნენ. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ალიო მირცხულავას.

ალიო მირცხულავა ქართულ საბჭოთა პოეზიაში შემოვიდა, როგორც ნოვატორი, როგორც ახალი სიტყვის მთქმელი, ახალი პოეტური სახეების შემქმნელი; საბჭოთა ლიტერატურის ვერც ერთი ნამდვილი ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ ბევრი რამ, რაც ალიო მაშაშვილის ლექსებში პირველად გამოჩნდა, პირველად გაისმა, იმავე ხანებშიც და შემდგომშიც იქცა საფუძვლად, ნიადაგად, მიჯნად, საიდანაც ახალი თაობის პოეტები იწყებდნენ თავის შემოქმედებითს გზას; უფრო მეტიც — ალიოს ლექსმა, სხვა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ლიტერატურულ ფაქტორებთან ერთად, ერთგვარი სტიმული მისცა ძველი თაობის პოეტთა ფანტაზიასაც უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ და დაახლოებოდნენ საბჭოთა ეპოქას, ეგებ მათთვის შეუმჩნევლადაც გაუადვილა მათ ახალ გზაზე სიარული. ცხადია, ამ ახლის ძიებაში ის მარტო არ იყო, და არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ისიც ფაქტია, რომ უფრო ადრე დაიწერა გალაკტიონის „დროშები ჩქარა“ და „გემი დალანდი“, რომელთაც ჭეშმარიტი გზა უჩვენეს ახალ პოეზიას. ამრიგად, იმ დროის შესანიშნავ მესიტყვეებთან და ნოვატორებთან — გალაკტიონ ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან და სხვებთან ერთად ალიო მაშაშვილი იწყებდა ახალ ეპოქას ქართულ პოეზიაში. ამიტომაც ჩვენი ლიტერატურის ისტორია მას სრულიად კანონიერად უწოდებს ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელს. მაშასადამე, მას სრული უფლება ჰქონდა ჯერ ისევ 1928 წელს, თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე დაეწერა ასეთი სტრიქონები: „დღეს ჩემი სიტყვა ახალია და უჩვეულო, ჩემს სიმღერაში არც ბოდვაა, აღარც წუხილი, ცეცხლიან ფრთებით ინავარდე, სულო რჩეულო, ვებრძოლოთ ბნელეთს, შენ ელვა ხარ და მე ქუხილი! ბევრის თქმა მინდა, ვიტყვი კიდეც, მივფრინავ ეტლით, წინ გამაქანეთ, გამაქანეთ, ბედის რაშებო, — ამ ცხოვრებაში მე რაც მიყვარს, მე რასაც ვეტრფი, ეს მხოლოდ თქვენ ხართ, მომავლის გარიჟრაჟებო!“

აქ ყველაფერი ნათელია, და პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პოეტი ამკვიდრებს ბრძოლის, გამარჯვების ნათელსა და ოპტიმისტურ განწყობილებას, რომელიც აღარ სტოვებს ადგილს სასოწარკვეთილებისა და უიმედობისათვის. ამასვე ამბობს პოეტი 1927 წელს დაწერილ ლექსში „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“. „მე ბრძოლის გარდა რა მყვარებია, რომ მადარდებდეს ხმა მწუხარების, ბრძოლით განვლილი ნაპრალებია, ნაოჭიანი შუბლის ღარები. მივალ იქ, სადაც ნახშირ-კლდიანი, ტრიბუნებივით დგანან მკერდები, მე როგორც ერთი ადამიანი ბრძოლას ბოლომდე შევაბერდები... მეც გადავიტან ხეტიალს, შიმშილს, თუ არ იქნება მეტი სახსნელი, მეც შემიძლია გავწირო სისხლში ჩემი სიცოცხლე უკანასკნელი... და რომ დავეცე ბრძოლის ველზე, მკორტნიდეს მტერთა რაზმი წყეული, დარჩება ლექსი, როგორც მერანი, ბრძოლის ველიდან გამოქცეული“.

ალიო მირცხულავამ ისიც კარგად იცოდა, რომ ახალი საბჭოთა პოეზია ვერ განვითარდებოდა, ვერ წავიდოდა წინ, თუ მოსწყდებოდა მასაზრდოებელ ნიადაგს — ქართული კლასიკური მწერლობის ეროვნულ ტრადიციებს. ამიტომ იყო, რომ თავის პოეტურ მანიფესტში, რომელსაც ეწოდებოდა „მიმართვა პოეტებისადმი“ (1928 წ.), იგი ამბობდა:

თქვენ პოეტებო, თუ სწერთ ქართულად,
თუ გინდათ რეკდეს სიტყვა ქართული,
სწერეთ ლექსები წელგამართულად,
სწერეთ ლექსები წელგამართული.
ასეთი ფერი ვთქვათ თუ დაბერდა,
და მოისურვეს ფეხით გათელონ,
იმის წაქცევას ვერვინ გაბედავს
ის ურყევია, ვით საქართველო...
ჩვენც სხვებთან ერთად მივყვებით დრო-ჟამს
ჩვენც ერთი მზის ქვეშ მსოფლიოს ვეძებთ,
და ხელოვნების საკუთარ დროშას
ჩვენც, ჩვენც ავიტანთ მის სიმაღლეზე!
ჩვენც ბრძოლის დროშა გვათბობს ალისებრ,
გვესმის ოქტომბრის მძლავრი გუგუნი,
ჩვენც გვაფრთოვანებს და გვახალისებს
მხნე გულისძგერა ამ საუკუნის.

ყველაფერი ეს იწერებოდა იმ დროს, როცა იწყებოდა ახალი ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლობა და ჩვენი ხალხი პირველ ნაბიჯებს სდგამდა თავისი ქვეყნის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის გზაზე. მით უფრო დასაფასებელია პოეტის ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობა, სადაც ღრმად არის ნაგრძნობი და გადმოცემული ლენინური ეროვნული პოლიტიკის დედააზრი, რომელიც ნიადაგს უქმნის ეროვნული კულტურების უმაგალითო გაფურჩქვნა-განვითარებას და ხალხთა დიდი მეგობრობის კეთილშობილურ იდეას, რომელსაც ემყარება საბჭოთა ეპოქის წინსვლა და ყველა დიდი გამარჯვება.

ალიო მირცხულავამ კარგად მოძებნა და განსაზღვრა პოეტის როლი ახლის მშენებლობის უფართოეს ასპარეზზე. თავის „დამკვრელ ბრიგადებში“ მან შთაგონებული ჰიმნი უძღვნა რა ახლის, კომუნისტურის მშენებლებსა და დამამკვიდრებლებს, ამავე დროს, პოეტსაც მოუწოდა არ გაქცეოდა ამ საქვეყნო საქმეს და თავისი პირადი მაგალითიც მოიშველია. ამიტომ მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

მეც დამკვრელი ვარ, საქმეს ვამზადებ,
ტემპს გრიგალივით ცეცხლი მოვსტაცე
და ვეჯიბრები საწერ დაზგაზე
ინდუსტრიალურ ლექსის ოსტატებს.
აგრიგალებულ შრომის დაზგაზე
დამკვრელ სტრიქონებს ვაწყობ რკინებად,
რომ სხვა იარაღთ შორის დამზადდეს
ბოლშევიკური განწყობილება...

ეს სტრიქონები დაწერილია ორმოცდაორი წლის წინ, მაგრამ ჟღერენ ისე, თითქოს ახლა, დღევანდელი გაზეთის ფურცლებზე წაგვეკითხოს. ესაა ძალა ჭეშმარიტი პოეზიისა, რომელიც მშენებელი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ პოეტის ლექსი უკვდავია და კვლავ შთააგონებს ჩვენს ადამიანებს ერთგულად ემსახურონ საქვეყნო საქმეს.

ალიო მირცხულავას მთელი შემოქმედება გამთბარია სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით. „სამშობლოზე უფრო მეტად მე არავინ მყვარებია“. ასე მგრძნობიარედ მღეროდა პოეტი. ის დაჰხაროდა მშობლიური მიწა-წყლის ყოველ მტკაველს. თავის ერთ ლექსში იგი წერდა:

ქღერს ალაზანი, მტკვარიც, რიონიც,
ხარობს კოლხიდა, ქართლი, კახეთი,
ამაღლებული კავკასიონიც —
მთელი მსოფლიოს გადასახედი.

1936 წელს დაწერილ დიდად პოპულარულ ლექსში „სამშობლო“ ვკითხულობთ:

ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი,
შავი ზღვის პირას აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლები დაფანტულია.
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,
ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა — ფიროსმანის დახატულია.

ესაა პეიზაჟი ახალი საქართველოსი, შესრულებული ბრწყინვალე ფერებით.

მაგრამ პოეტის შემოქმედებითი პორტრეტი სრული არ იქნებოდა, თუ დავივიწყებდით იმ შესანიშნავი ლექსების მთელ ციკლებს, რომლებიც პოეტმა მიუძღვნა სიყვარულის, სიკეთის დამკვიდრების მარადიულ თემებს. მან აქაც დიდად წასწია წინ ქართული ლირიკა — პოეტი გამოხატავდა ადამიანის სულიერი სამყაროს მთელ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, მის მუდმივ სწრაფვას სილამაზისა და სიკეთისადმი; ამას გარდა, უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რაც ალიო მირცხულავამ დასდო ახალი პოეტური ეპოსის დამკვიდრებას. მან შექმნა პოემები, რომლებშიც მაღალი ოსტატობით გამოიხატა ჩვენი დროის ადამიანების მკაფიო ხასიათები.

პოეტი თავის ხალხთან იყო როგორც დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ლექსი ამხნევებდა ფრონტზე მებრძოლ მეომრებსაც და ზურგში დარჩენილ მშრომელებსაც, ისე ომისშემდგომ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, როცა ჩვენმა ხალხმა ახალი სიმაღლეები დაიპყრო თავისი ისტორიული წინსვლის გზაზე.

ალიო მირცხულავა დღეს ჩვენთან აღარ არის. მაგრამ კვლავ ცოცხალია მისი შთაგონებული ლექსი; მისი მგზნებარე პოეზია კვლავ შეჰხარის აყვავებულ და გაფურჩქვნილ სამშობლოს.

ალექსანდრე სიგუა



# უანგარო მოღვაწე

კონსტანტინე გამსახურდია

გამომცემელი სავსებით ახალი ცნებაა. იგი მასობრივად თავს იჩენს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან.

არც ანტიკურ სამყაროში, არც შუა საუკუნეთა მანძილზე არ არსებობდნენ გამომცემლები.

გოეტე ხომ ფრიად ნაყოფიერი მწერალი იყო, მაგრამ მისთვის ჰერცოგს რომ არ გაეწია მეცენატობა, ვერც თავის დიდ რომანებს, ვერც „ფაუსტს" დასწერდა და ვერც გამოსცემდა.

არტურ შოპენჰაუერმა თავის ავტობიოგრაფიაში აღიარა: მამაჩემს 14.000 გულდენი რომ არ ეანდერძა ჩემთვის, მე ვერაფერს დავწერდიო.

ლევ ტოლსტოი შეძლებული გრაფი იყო და მას სხვისი დახმარება არ დასჭირვებია.

ილია ჭავჭავაძეს თავისი მამული ჰქონდა; მიუხედავად ამისა, მას ბანკის დირექტორობა დასჭირდა. გენიოსი ვაჟა-ფშაველა დიდ გასაჭირში იყო. არც აკაკი წერეთელს უღიმოდა ამ მხრივ ბედი.

მე კარგად მახსოვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამომცემლობის ვიტრინაში გამოფენილი წიგნაკები ჩვენი დიდი მწერლებისა, თითოეული მათგანი 100 გვერდს არ აღემატებოდა.

გამომცემელი გაჩნდა საბჭოური ხელისუფლების წყალობით.

შარშან გამომცემლობა „მერანმა" გამოაცხადა ხელმოწერა ჩემს რვატომეულზე. პირველ თვესვე მიიღეს 350.000 განაცხადი, მაგრამ უქაღალდობის გამო 200.000-ს შეჭერდნენ.

* * *

ჩვენში ზოგიერთ გამომცემლებს განსაკუთრებით უყვართ გარდაცვლილი კლასიკოსები, რადგან ისინი ჰონორარს არ მოითხოვენ. არ უყვართ ცოცხალი მწერლები, რადგან საბჭოური კონსტიტუციის ძალით მათ ჰონორარი ერგებათ.

კარგა ხნის წინათ მე შევნიშნე მწერალთა ერთ პლენუმზე ერთი შუახნის კაცი, რომელსაც განსვენებული ჩვენი მეგობარი ალ. აბაშელი რაღაცას ეჩურჩულებოდა.

მე შევეკითხე აბაშელს:

„ვინ არის ის კაცი, რომელსაც შენ ეჩურჩულები ხოლმე?"

„ეგ გახლავს მარკ იზრაელის-ძე ზლატკინი, შესანიშნავი ადამიანი, წრეულს დანიშნეს იგი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" დირექტორად".

ალექსანდრე აბაშელი მართალი აღმოჩნდა. დიდი ხანია, რაც მე ამ კაცს ვაკვირდები, უნდა ითქვას ასეთი უანგარო მოღვაწე, განსვენებული ნიკო კიკნაძის შემდეგ, იშვიათად თუ მინახავს ვინმე.

ჩემი დებულება იჭვმიუტანელია. მხოლოდ კაი კაცს შეუძლია იყოს კარგი მწერალი, კარგი მეცნიერი, კარგი გამომცემელი. მე მქონია ოცდაათიან წლებში ფრიად მძიმე მდგომარეობა. 6 მანეთი მქონდა ხაზისთვის და თუ დამაგვიანდებოდა, იმ დღეს უსადილოდ ვრჩებოდი. განსვენებულ ჩემს მეგობარს იაკინთე ლისაშვილს ბელგიიდან მოსდიოდა ერთი კოოპერაციული ჟურნალი ფრანგულ ენაზე. მე ამ ჟურნალიდან მასალებს ვთარგმნიდი და სათანადო ჰონორარს ვიღებდი.

ერთხელ ავადმყოფი ვიყავი, ჩემს ერთადერთ ოთახში კარგამოკეტილი. მარკ ზლატკინი მოვიდოდა ხოლმე, ჰონორარს თავისი ხელით მომიტანდა.

ასეთი კაცია მარკ ზლატკინი. მის სახლში ხუთიოდე სკამია. იგი არასოდეს უჩივის ხელმოკლეობას, სიღარიბეს.

1972 წელს გამომცემლობა „მერანმა" გამოაქვეყნა მ. ი. ზლატკინის წიგნი: „როცა წიგნი ახლოებს ხალხებს". ამ წიგნმა წარმატებით გამოაჩინა მ. ზლატკინი როგორც პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მემუარისტი. იგი განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებს თავის თანამედროვეებს.

ბევრი მხრივ არის ეს წიგნი საინტერესო. მასობრივმა მკითხველმა როდი იცოდა, თუ ვაჟა-ფშაველას ასე ძლიერ უყვარდა პუშკინი.

ზლატკინი მართებულად აქებს რუს პოეტს კ. ბალმონტს, რუსთაველის უკვდავი პოემის მთარგმნელს. სიმართლე რომ ითქვას, ეს თარგმანი როდია, არამედ ხელახლა გალექსვა, ის, რასაც გერმანელები „ნახდიხტუნგს" უწოდებენ. „ვეფხისტყაოსანი" ბრწყინვალედ თარგმნა რუსულ ენაზე გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა ნ. ზაბოლოცკიმ; მან დიდი მუშაობა გასწია მთელი იმ ეპოქის შესასწავლად, რომელმაც რუსთაველი წარმოშვა. ეს წინასწარი მუშაობა მკაფიოდ დაეტყო მის თარგმანს. ასევე დიდი ღვაწლი დასდეს კლასიკური და თანამედროვე ქართული პოეზიის თარგმნას რუსი პოეტების როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის შესანიშნავმა ოსტატებმა.

ჩემთვის დაუვიწყარია ჩემი გულითადი მეგობრის ა. ნ. ტიხონოვის ამაგი, იგი 6 თვეს მხარში მედგა, როცა ფ. თვალთველის თარგმანს „დიდოსტატის მარჯვენისას" ვასწორებდი.

ფრიად საინტერესოა ზლატკინის წიგნის მეორე თავი — „ავტორი მთავარი ფიგურაა გამომცემლობის პროცესში".

საინტერესოდ დაწერილია მეოთხე თავი: „რედაქტორი — მეგობარი და მრჩეველი ავტორისა".

სამწუხაროდ, ეს დებულება მუდამ არ მართლდებოდა.

ჩვენ გვყოლია ისეთი რედაქტორებიც, რომელნიც ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე.

ასეთ უანგარო, თავდადებულ მოღვაწეს, მარკ იზრაელის ძე ზლატკინს, ჯეროვანი დაფასება უნდა.

კოლხური კოშკი.

1978 წ.

# საგამოფენო დარბაზში მხიარულებაა

გამომცემლობა „მერანის" ფართო დარბაზში 14 იანვრიდან კარგახანს იყო გამოფენილი მოქანდაკე-გრაფიკოსის გიგლა ფირცხალავას ნამუშევრები. თითქმის ერთ თვეზე მეტ ხანს დიდძალი მაყურებელი აწყდებოდა გიგლას ხალისიან ნახატებს, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულ სურათებსა და ქანდაკებებს. გამოფენა ერთ წელს რომ გაგრძელებულიყო, დარწმუნებული ვარ, მას ყოველდღე გამოულევლად ეყოლებოდა მნახველი. ეს იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი მოწონებით სარგებლობს იუმორისა და სატირის ამ განთქმული ოსტატის წლობით დაგროვილი ნაირფეროვანი სიუჟეტით ამეტყველებული ფურცლები.

გიგლა ფირცხალავას თითოეულ ნამუშევარს აქვს აზრი, სიუჟეტი. ნახატის ემოციური ძალა; მისი გამომხატველობითი სიღრმე იმაშია, რომ ჯერ გაგაცინებს, ამით მიგიპყრობს და შემდგომ კი ჩაგაფიქრებს.

გიგლა ფირცხალავა მუდამ ცხოვრების ორომტრიალშია და სინამდვილის საჭირბოროტო საკითხებს თავისებური მახვილი ყალმით ეხმაურება, ჰკილავს მავნე ჩვევებს, გმობს ცუდსა და უარყოფითს. მაგრამ გიგლა ფირცხალავამ მოფერება და ალერსიც იცის. თავის მეგობრულ შარჟებში არაერთი სახელოვანი ადამიანის სახე გამოუხატავს სიყვარულით. ამ შემთხვევაში კი ფირცხალავას კარიკატურა სითბოთია სავსე. სწორედ ეს არის ნიშანდობლივი მისი, როგორც კარიკატურისტის, მაღალნიჭიერებისა. ყველა კარიკატურისტს როდი შესწევს უნარი ხასიათის ისეთი სიღრმით, მთელი სიცხადით გადმოცემისა, როგორც ამას ფირცხალავა ახერხებს. კარიკატურა არც ფერწერაა, არც ფოტოგრაფია. აქ მნიშვნელოვანი მაინც ადამიანის თუ დასახატი ობიექტისთვის მთავარი დამახასიათებელი ნიშნის მიგნებაა. ამ გზით აღწევს მხატვარი პორტრეტულ მსგავსებას და ხასიათის გადმოცემას.

გიგლა ფირცხალავას მრავალრიცხოვან ნამუშევრებს რომ გადაავლებთ თვალს, საყურადღებო კიდევ ის არის, რომ იგრძნობთ ფერთა სიუხვეს და სიუჟეტთა სიმრავლეს. ყოველ ნამუშევარს თავისი სახე აქვს, თავისი „სამყარო".

გიგლა ფირცხალავა შემოქმედებით ასპარეზზე ქანდაკებით გამოვიდა. იგი მოწაფე იყო შესანიშნავი ქართველი მოქანდაკისა და პედაგოგის ნიკოლოზ კანდელაკისა. გიგლას ქვაში და თაბაშირშიც ღრმად ჩაუქსოვია ჭეშმარიტი შემოქმედის ძალა. საყურადღებოა მისი სკულპტურული კომპოზიციები — „ქართული ჭიდაობა", „მოკრივეები", ოლიმპიური ჩემპიონის, მოჭიდავე დავით ციმაკურიძის პორტრეტი, ოლიმპიური და სამგზის მსოფლიო ჩემპიონის, მოჭიდავე გივი კარტოზიას პორტრეტი და სხვა.

გიგლა ფირცხალავას იცნობენ არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მისი კარიკატურები ხშირად იბეჭდება ცენტრალურ პრესაში. მის გამოფენებს აწყობენ ჩვენი კავშირის მრავალ ქალაქში და ყველგან მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს.

გიგლა — მოქანდაკე, გიგლა — გრაფიკოსი, გიგლა — ჟურნალისტი, გიგლა — შესანიშნავი მეგობარი და ადამიანი.

მოდით ამ კარგ კაცს ერთხელ კიდევ მივულოცოთ დაბადების 50 წლისთავი და ვუსურვოთ ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

თენგიზ გოგოლაძე.



გიგლა ფირცხალავა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან.




— მე ხომ გაგაფრთხილეთ, სათვალეები კართან მიაყუდეთ-მეთქი.



— მხოლოდ შენ ეეერთს!...

# გიგლა ფირცხალავა




— რა ლამაზი ავეჯია, ვიყიდოთ
— ვერ ვიყიდი ძვირფასო, სასამართლოს მაგონებს

სადალაქოში.





ქალიშვილის პორტრეტი.



მაყრიონნი.



მამაკაცის პორტრეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იური მექვაბიშვილი

უშგული.



შემოდგომა.





ქალიშვილის პორტრეტი.

მხატვრის სახელოსნოში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანის ბრძოლა დევთან. ლაშთხვერის ეკლესიის ფასადის მოხატულობა (XIV საუკ.).



სასანური სურა
IV-V საუკუნეები.
(ლაგურკას ეკლესია).



დროშის თავი
(მესტიის მუზეუმი)



ჩუკულის ეკლესიის კარი
(XII საუკ.).

სვანეთის ცადაწვდილი მწვერვალები, მრავალფეროვანი ყვავილებით მოხატული ვრცელი ალპური მდელოები და ხშირი ტყის მასივები, მინერალური და წყაროს წყლები, წიაღისეული სიმდიდრე, აქაური ლაღი და თავისუფლებისმოყვარე ადამიანები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიიქცევდნენ შორეულ ქვეყნიდან ჩამოსულ მოგზაურთა ყურადღებას; საქართველოს ამ უაღრესად მკვეთრად გამოსახულმა მაღალმთიანმა კუთხემ დიდი რაოდენობით შემოგვინახა მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან შეხამებული მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა — არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომჭედლობის, ქანდაკების, ხელნაწერების, მინიატურის, ქსოვისა და ნაქარგობის, მუსიკისა და პოეზიის მრავალფეროვანი ძეგლები; ყოველივე ეს უმდიდრესი წყაროა საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის შესასწავლად. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უნიკალურია და მეცნიერები მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებენ.

დიდია სვანეთში დაცული ძეგლების ქრონოლოგიური დიაპაზონი. ისინი ასახავენ საზოგადოების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების უწყვეტ ჯაჭვს ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულიდან დაწყებული, ვიდრე დღევანდლამდე.

ნივთიერი კულტურის უმთავრესი ნაწილი დღეს მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და სვანეთის ეკლესიებშია დაცული. სვანეთი ეროვნული კულტურის ღია მუზეუმია. მისი დაცვა, ახალი ძეგლების გამოვლინება-შესწავლა და მოსახლეობის გასაცნობად გამოფენა-გამოქვეყნება მეცნიერთა და ადგილობრივი მუზეუმის მუშაკთა საპატიო მოვალეობაა.

შოთა ჩართოლანი,
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

# ახალი ლექსები

## დილარ ივარდავა

### ეს მე გიყვებით...

კომკავშირს, ახალგაზრდობას

კარებს და ფანჯრებს უხმოდ ვაღებდი
და... როს მოაწყდა ხმაური უცებ,
ვნახე ქუჩებში ბაირაღები
მოჰქონდათ ხელებდაკოურილ მუშებს.
ვუყურებდი და მე რა მეგონა, —
რომ დროშა ჩემთვის იწევდა მაღლა
და, როცა ვკითხე უფროს მეგობარს.
რას დაამსხვრევდა მღელვარე ტალღა.
მე მან ამიხსნა და... ჩემი ტვირთი
თითქოს, მხრებიდან მომეხსნა უცებ, —
მომავლისათვის,
ჩემთვის და სხვისთვის
ჩემი ყიჟინაც მოედო ქუჩებს.
აჯანყებული, ძლიერი სისხლი,
ირგვლივ აჩენდა სინათლის შხეფებს,
მე მივხვდი მაშინ —
დღეს ბრძოლა მიხსნის,
რადგან ხალხია ღმერთიც და მეფეც.
რადგან არავის არა აქვს ნება,
წამართვას ზეცა,
შუქით რომ მფარავს,
ჩემი ტკივილი და ჩემი ჰნება,
არა აქვთ ნება — ჩასთვალონ არად!
და დავამსხვრიე ყველა კედელი,
რომელიც ჯებირს მიქმნიდა გზაზე.
გავხდი ამაყი და შორსმხედველი, —
მზის სხივი ახლდა ჩემს მართალ ვაზნებს.
და ასე ჩემი ხელი თუ კუნთი,
მერმე აგებდა ქარხნებს თუ ჰესებს.
მხოლოდ სიმართლით,
სიმართლის სუნთქვით,
მე ჩემი ყანა მქონდა და ვთესე.
დღეს საკვირველი არცაა მგონი —
ბევრს შურდა ჩემი დაუღლელ ფრთების
და, როს ავარდა გრიგალი ომის,
კალოსნაირად გავლეწე მტრები.
და ყველგან ჩემი სიცხადე ნახეს
და ვეკუთვნოდი სიცოცხლის ხივილს, —
ჩემს გამარჯვებულ და ძლიერ სახეს
აი, დაეცა კოსმოსის სხივიც.
აზრით,
შენებით,
მკლავით უღლელით
მამულს რომ ცისკრის შუქით ვავსებდი, —
მიზანთან ვრჩებით კვლავ განუყრელნი,
სისხლით თუ ნერვის მეათასედით!

### სიმონ ჩიქოვანის გახსენება

არმაზს უკვე გაიხლიჩა ბროწეული,
მტკვარს დავემხე,
მტკვარს დავემხე ვარსკვლავ-ცითა,
აელვარდა ოქრო-მარჯან-ძოწეული,
აილანძა თავთუხებში სერაფიტა.
ღმერთო ჩემო!
ცხადია თუ ზღაპარია,
მიქრიხარ და...
უკან მოგდევს ირმის ლანდი,
დედას უხმობ —
ჩვილს ადრე რომ გაპარვია
და ნისლები გახსენებენ
მშობლის მანდილს.
ძელქვასავით რა ფესვები გაგიშლია,
ბროწეული ბრწყინავს, თითქოს მერკურია, —
მომიტევე, შენი ლექსის ყუა მშია,
ტრფობა მშია და...
შენსავით მეც მწყურია.
შემაყვარე შენნაირად ქართლის მიწა,
ჩანგი,
ლოცვა,
ტაძრები თუ
ასოები
და მერე კი,
თუკი გნებავს, მსხვრალ ფიწალს
მამულისთვის მკერდს დავიცემ სასოებით.

### რ ი თ მ ა

აქვს მას თვისება
ახლად გადაშლილ ყვავილებისა.
... ეგ დიდებული ხომ მრავალჯერ
ქუხდა მუსიკად
და ყვავილები ახლდა ყოველთვის, —
... ოაზისს იქით
ძრწის უდაბნო უკაცრიელი!

---

## მურმან ჯგუბურია

### ს ი ზ მ ა რ ი

კავკასიონი
ბრწყინავს შორით, დღე — ნათელია,
ურთის თავანზე
ნაქარგივით დგება ცისკარი,
დიდი ხანია,
რაც სოფელში აღარ მელიან,
და სოფელში ვარ! —
ამდაგვარი ვნახე სიზმარი.

ჟამი გაივლის...
შეუმჩნევლად, როგორც სიზმარი,
ამ ცისქვეშეთში
როცა ყველას დავავიწყდები,
ვინ თქვას მკაფიოდ,
რომ ამქვეყნად მე არ ვიყავი,
ვინ იტყვის ნეტა,
რომ ისევე აღარ ვიქნები.

### დ ე ბ ი

როცა სოფელში ბრუნდები
და, როგორც მტრედის გუნდები,
გარს გახვევია დები,
რამ მოგიყვანა, გვითხარი,
ცუდი რამ ნახე სიზმარი,
თუ გაგახსენდა მთები?
ჩვენ მოწყენილი ვიყავით,
ნაიამ გვითხრა იგავი, —
ხვალე, უცილოდ, მოვა.
ჩვენ დავიჯერეთ ნათქვამი,
მაგრამ, რომ გითხრათ მართალი,
თავი გვეჭირა შორად.
ისევე კარგი აგიხდეს,
როგორც ხეხილი დავკრიფეთ,
როგორც დავგავეთ ეზო,
მზის სინათლეზე ავდექით,
კარგი ჩავიცვით კაბები,
შენც მოადექი მესერს.
რამ მოგიყვანა, გვითხარი,
ცუდი რამ ნახე სიზმარი,
თუ გაგახსენდა მთები?
როცა სოფელში ვბრუნდები,
კვლავ, როგორც მტრედის გუნდები,
გარს მახვევია დები.

### ისევ ეწვევა ნისლი

და ნისლი თითქოს ჩემი სულია,
მოხეტიალე სოფლად,
სალამოვდება და სიჩუმეა
და მზე სიზმრისას მოჰგავს.
შორს დაჩნდებიან კიდევ მგზავრები,
მზე ეთხოვება მინდორს,
ხან ბორცვებია — დინოზავრები,
ხან ღრუბლებია თითქოს.
ხან ვერცხლის ტბაში ისევ დაჩნდება
ნელი დინება ღრუბლის,
ტბას გარეშემო ადგას ნაძვები,
ვით ფრინველების გუნდი.
მერე ჩაქრება მანათობელი
და დიდი ღამის ბატონს —
ამგვარად ხვდება ჩემი სოფელი,
ბნელს შერჩენილი მარტოდ.

* * *

სოფლად ჰყვაოდეს ატამი,
შუქი ბრწყინავდეს მზის,
გწყალობდეს ჟინი — ანთარი, —
მანათობელი ცის,
მე არ გიყვარდე საწყალი,
სხვას ანახებდე პირს,
გულს ჩამებუდოს ავდარი,
ჩემზე ამბობდე ძვირს,
არაფერია, მახარე,
არაფერია...

გულუაფირო, თინია,
თეთრად გიცინის პირია,
რაც ქვეყნად მოსათმენია,
კიდევაც მომითმენია,
რაც ქვეყნად მოსაწყენია,
კიდევაც მომიწყენია,
არაფერია, მახარე,
არაფერია...

ოღონდ ჰყვაოდეს ატამი,
შუქი ბრწყინავდეს მზის,
მე არ გიყვარდე საწყალი,
სხვას ანახებდე პირს,
გულს ჩამებუდოს ავდარი —
ჩემზე ამბობდე ძვირს,
არაფერია, მახარე,
არაფერია...

**თამარ წულუკიძე**
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

# იყო ერთი ვალსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*კეთილ ვარსკვლავზე*
*ბედნიერ დღეს დაბადებული,*
*ყველა სიკეთის მომხვეჭელი,*
*ცაში დამჯერი...*

ირ. აბაშიძე — „პაოლო იაშვილს“

საქართველოს დედაქალაქი თბილისი... 1921 წლის 25 თებერვლის წინა საღამო...

იმ საღამოთი ცნობილი გახდა, რომ მენშევიკური მთავრობის წევრები, მთელი შემადგენლობით, ოჯახებით ჩასხდნენ გემებში და სტამბოლის მხარეს გაეშურნენ.

მანამდე კი კარგა ხანს გრძელდებოდა საქართველოს მშრომელთა აჯანყებები, რომელთა დასახმარებლად მოეშურებოდნენ მეთერთმეტე არმიის პოლკები... თვით ქალაქში ათასნაირი, ერთიმეორის საპირისპირო ხმები ვრცელდებოდა; ხალხი, თბილისელი მშრომელები იმედით და სასოებით მოელოდნენ ქართველი პარტიზანებისა და მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცების გამოჩენას ქალაქის ქუჩებში, ხოლო ბოროტი ენები გულმოდგინედ ავრცელებდნენ ჭორებს რაღაც ექსცესებზე, რასაც ვითომ ადგილი ჰქონდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება უკვე დამყარებული იყო.

იმ შფოთიან დღეებში მამაჩემი შინ არ იყო. ორი კვირით ადრე ის წავიდა მივლინებით ფოთში კოოპერატიული გაერთიანების საქმეების გამო. მამა ამ გაერთიანების გამგეობის წევრი იყო; შინ ვიყავით დედაჩემი, ჩემი უფროსი ძმა ვახტანგი, უმცროსი დაი და მე.

საღამოს შვიდი საათია. ქუჩაში თებერვლის სუსხიანი ქარი ქრის, სველი თოვლის ნამქერს აყენებს. ქუჩებში სიბნელეა, სატელეფონო კავშირი გაწყვეტილია. არ ისმის ამ დროისათვის ჩვეული ხმაური, ქუჩაში აღარც მოძრაობაა.

ქალაქში ზოგს, ვინც არ იცოდა რა ხდებოდა, პანიკა დაეუფლა. ჩვენც აღარ ვიცოდით რა გვექნა. ბოლოს დედამ გადაწყვიტა ფოთში წავსულიყავით, მამასთან.

სასტუმრო ოთახში გაშლილ ხალიჩაზე თავღია დგას ჩვენი ძველი, გაცრეცილი ჩემოდანი, რომელსაც „საგარაკოს“ ვეძახდით. დედა, ნავთის პატარა ლამპით ხელში, დადის ოთახიდან ოთახში, აღებს კარადებს, იღებს რაღაც ტანსაცმელს, ჩასჩრის ჩემოდანში, მერე ისევ ამოიღებს, რაღაც სხვას მოიტანს... კედელზე ჩანს მისი ვეება შავი ჩრდილი, ხან წელში რომ იხრება, და ხან უმწეოდ აწყდება აქეთ-იქით...

ჩემი ძმა შინ არ არის, დედამ იგი სულ ახლოს, კვალიაშვილების ნაცნობ ოჯახში გაგზავნა ამბის გასაგებად — რას აპირებენო. თანაც დაავალა გაეგო, რა ხდება ქალაქში, რას ამბობს ხალხი!

მე და ჩემი უმცროსი დაი მინაბულები ვსხედვართ. ჩვენი საყვარელი დედა, მუდამ ასეთი მხიარული, თამამი, გაბედული — თავის თავს აღარა ჰგავს, წრიალებს, ყველას უწყრება. მერე უცებ მოწყვეტით დაეშვება სკამზე.

— რა ვქნათ? წავიდეთ? არ წავიდეთ? — ბუტბუტებს იგი, მერე უცებ წამოხტება სკამიდან და აღშფოთებული დაიძახებს:

— მუდამ ასე იყო... ყველაზე ძნელ წუთებში მარტო მე უნდა ვიყო ამ ბავშვებთან. მე უნდა გადავწყვიტო ყველაფერი, მე უნდა ვაგო პასუხი... ის კი (აქ მამაჩემს გულისხმობდა) გართულია თავისი საქმეებით.

ეზოს მხრიდან კარი გაიღო, ვახტანგი დაბრუნდა ფერმკრთალია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მშვიდი და აუღელვებელი.

— რა ამბავი მოიტანე? — მივარდა მას დედა.

— კვალიაშვილები წასულან.

— ღმერთო ჩემო! მაშ ჩვენ რაღას ვსხედვართ, აბა გაემზადეთ, ჩქარა!

— თქვენ წადით, დედა! — ძლივს დაიწყო ვახტანგმა, — მე აქ დავრჩები, ბინას ხომ უნდა მიხედვა. ჩემი დარდი ნუ გექნება. პატარა ხომ არა ვარ!

დედა უცებატირდა, ვახტანგი გულში ჩაიკრა.

— მამა ხომ ამბობდა, ნუ გეშინიათ, ცუდი არაფერი მოხდება, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ, მე დამიცადეთო, — ჩავერიე ლაპარაკში, თუმცა მე არავინ მეკითხებოდა.

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, — დამტუქსა დედამ, — მამაშენი ბევრ სხვა რამესაც ამბობდა, ახლა კი აგერ მარტო დამტოვა...

ვიწყებთ სასწრაფოდ ჩალაგებას, დედა შალის მოსახვევში ჰკრავს ძვირფას ნივთებს: აქაა ძველებური ვერცხლის სურა თავისი ჭიქებით (ბებიას ნაქონია), თორმეტი ცალი ვერცხლის ჩაის კოვზი (დედას მზითევია), მამაჩემის მოოქროვილი პორტსიგარი, ჩემი ოქროს მედალიონი მონოგრამით (მამამ მაჩუქა შარშან, როცა მე-8 კლასში გადავედი), ბეჭდები და საყურე ფირუზის თვალით, დედაჩემის ოქროს საათი აქატის ძეწკვით.

— მერედა რამდენ ხანს უნდა გვეყოს ეს? — ოხრავს დედა.

— ჩვენ ხომ მამასთან მივდივართ, ფოთში!

— ღმერთმა უწყის სად მივდივართ!

კართან ზარმა დაიწკრიალა. შევკრთით, ერთიმეორეს გადავხედეთ. ვინ უნდა იყოს? ვახტანგი კარისაკენ გაემართა, გააღო, შემობრუნდა და დედას უთხრა:

— შენ გკითხულობენ!

დედა გასასვლელისაკენ გაეშურა და ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა გაბრწყინებული სახით: ხელში კოოპერატიული გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარის ბარათი ეჭირა. თავმჯდომარე სწერდა, რომ გვიგზავნის ეტლს, რომელიც სადგურზე გაგვიყვანს. ამასთან გვირჩევს — დროებით სჯობია მამასთან იყოთო. დაიცადეთ იქ ორიოდე დღე, დალაგდება აქ ყველაფერი და ჩამოხვალთ. ჩემიანები მე გუშინ გავამგზავრე ახლო სოფელში. მე კი აქ ვრჩებიო.

— მორჩა, გადაწყვეტილია, მივდივართ! — მტკიცედ დაასკვნა დედამ.

დაახლოებით საღამოს ათი საათი იყო, როცა ჩვენს ბინას ფაიტონი მოადგა. მეეტლე სტეფანე, ჩვენს ფუსფუსს რომ უყურებდა, როგორღაც კეთილად იღიმებოდა; მან თვითონ გაიტანა ჩვენი მძიმე ჩემოდანი, დაგვსხა ოთხივენი, გადაჰკრა შოლტი ცხენებს და ეტლი დაიძრა.

ნეტავ მართლაც არსად არ წავსულიყავით!

ახლა, როცა იმ დიდი ხნის წინ გარდასულ დღეებს ვიგონებ, პირდაპირ ვერ წარმომიდგენია: როგორ შეეძლო დედას, ასეთ ჭკვიან, გონიერ ქალს, ასეთ მიხვედრილ ადამიანს დაეჯერებინა რაღაც საეჭო და ყალბი ხმებისათვის, ვიღაც მეჭორეებისათვის, მიეტოვებინა ყველაფერი და ბავშვებიანად გაქცეულიყო საითღაც, თვითონაც რომ არ იცოდა საით!

საცოდავი დედა! თუმცა, განა შეიძლება გაამტყუნო იგი? აბა რა იცოდა მან, რა არის წითელი არმია, გარდა იმისა, რასაც ყოველდღე სთხზავდა და ავრცელებდა ცრუ მენშევიკური პროპაგანდა?!

სამოქალაქო ომის წლებში თბილისი აივსო ჩრდილოეთიდან წამოსული ლტოლვილებით: ესენი იყვნენ გაკოტრებული ბურჟუები, რომლებმაც რაღაც მიზეზების გამო ვერ მოასწრეს დროზე გაქცეულიყვნენ საზღვარგარეთ, ფეოდალური არისტოკრატიის ნაშთები, გალატაკებულნი და სასოწარკვეთილნი, აუარებელი ბნელი საქმოსნები — აფერისტები, სპეკულანტები, ვალიუტით მოვაჭრენი, осколки разбитого вдребезги, როგორც უწოდა მათ გამოჩენილმა სატირიკოსმა არკადი ავერჩენკომ, — ყველა ისინი მორბოდნენ საბჭოთა რუსეთიდან და თავშესაფარს მენშევიკების ფრთებს ქვეშ პოულობდნენ. აბა რა უნდა ეთქვათ მათ იმაზე, რაც ქვეყნად ხდებოდა, რა უნდა ეთქვათ — თვითონ გაბოროტებულებს და ყოველივე ახლის მოძულეებს!

დედა ასე ფიქრობდა — ჩაგვიყვანდა მამასთან, დაგვტოვებდა იქ, თვითონ უკან გამობრუნდებოდა. ან კიდევ ჩვენ ყველანი ერთად წამოვიდოდით შინ. შეიძლება ყველაფერი ასეც მომხდარიყო, ბედს ასე მწარედ რომ არ დაეცინა ჩვენთვის.

სადგურის მოედანი, ისე როგორც მთელი ქალაქი, ჩაბნელებული იყო. ისმოდა ხმაური, ეტლის ბორბლების გრუხუნი ქვაფენილზე, მეეტლეების შეძახილები, ცხენების ფრთქვინვა და ფრუტუნი... ირეოდა ხალხი ბავშვებით, ჩემოდნებით, კალათებით, ზოგს ძაღლიც კი წამოეყვანა. ყველა ჩქარობდა, საითღაც მიიწევდა; სიბნელესა და ვაი-ვაგლახში ვიღაცა ვიღაცას დაეძებდა: „სალომე, სალომე, სად ეშმაკებში დაიკარგე!“ ყვირილი, ლანძღვა, აურზაური...

ბაქანთან იდგა ჩაბნელებული მატარებელი, უკვე ხალხით გაჭედილი. ამბობდნენ, ეს უკანასკნელია, მეტი მატარებელი აღარ იქნებაო.

— ჩქარა, ჩქარა, — ჩაგვძახის დედა; ჩვენ ძლივსძლიობით მივარღვევთ ბრბოს ვაგონებს გასწვრივ. ყველა ვაგონი სავსეა. დედას ერთი ხელი ჩემთვის აქვს ჩაჭიდებული, მეორე — ჩემი დისთვის. ვახტანგი ჩემოდანს მოათრევს. და უცებ გვესმის, ვიღაც იძახის:

— ქალბატონო ვარო, აქეთ წამოდით, აქეთ, ჩვენსკენ.

გავიხედეთ, ვაგონის კართან ნაცნობი სახეები ჩანს, დედას შორეული ნათესავები, ხელს გვიქნევენ, გვეძახიან. გახარებულები მივიწევთ მათკენ, მათ ჯერ ჩემოდანი ავაწოდეთ, მერე დედას დაეხმარნენ და ისიც ავიდა; მესმის როგორ უხდიდა მადლობას ნათესავებს. ვახტანგმა აიყვანა ჩემი და, დედამ გამოუწოდა ხელები, რათა გოგო ჩამოერთმია, მაგრამ ველარ მოასწრო. უეცრად მატარებელი მოსწყდა ადგილს, დაიძრა ყოველგვარი ზარისა და სიგნალის გარეშე. მატარებელი თანდათან უმატებდა სიჩქარეს, ჩვენ კი ვიდექით დაბნეულნი და გავცქეროდით. მე მგონი, ვცადე კიდეც დავწეოდი მატარებელს, დედა კი, საცოდავი დედა

(რა დამავიწყებს მის სახეს იმ წუთში) იდგა ვაგონის კიბეზე, სახელურს ჩაბღაუჭებოდა, და მღელვარებისაგან ჩაწყვეტილი ხმით გამოგვძახოდა:

— მაშიკოსთან წადით, მაშიკოსთან! ჩემი ფიქრი ნუ გაქვთ!

ქარი აქანავებდა მისი შავი მოსახვევის ბოლოებს და ჩვენ ძლივსღა გვესმოდა მისი ხმა: „მე დავბრუნდები, მალე დავბრუნდები“...

ჩაბნელებულმა ვაგონებმა გრუხუნით ჩაგვირბინეს წინ და მალე მატარებელი თვალს მიეფარა.

მე ძლივს მოვძებნე ვახტანგი და ატირებული უმცროსი დაი. მე მას ვაწყნარებდი, მაგრამ რა სიამოვნებით ავღრიალდებოდი მასთან ერთად! ბოლო დღეებში განცდილმა ნერვების წეწვა-გლეჯამ ისე მომქანცა, აღარ ვიცოდი რა მექნა! მაგრამ მახსოვდა, უნდა გამეძლო, უნდა ამეტანა. მე ხომ უკვე დიდი ვიყავი, იმ წელს გიმნაზიის მერვე კლასს ვამთავრებდი.

მაშიკო მამაცაშვილის ოჯახი ცხოვრობდა სადგურის ახლოს, ძველებურ ორსართულიან ხის სახლში, რომელსაც მოხატული აივნები და ასევე კოხტა კიბე ჰქონდა, რომელსაც პირდაპირ ქვაფენილიდან ზევით აჰყავდით. ფანჯრებში სინათლე დავინახეთ. როცა ჩვენ, სიცივისაგან გათოშილებმა და ამდენი მარცხით გაწამებულებმა წყნარად დავაკაკუნეთ, კარი თვითონ მამიდა მაშიკომ გაგვიღო. დაგვინახა თუ არა რა საცოდავად მობუზულები ვიდექით, თავში ხელი შემოიკრა და მოთქმით დაიწყო:

— ვაი-მეე! რატომ არ მოვკვდებიი! ჩემო კარგებო! რა დაგემართათ, მარტონი რათა ხართ? დედა სად არის? — თან დაფაცურობს, წრიალებს ჩვენს ირგვლივ, — აბა, გაიხადეთ ჩქარა! — მისი თბილი, ალერსიანი ხელები მარჯვედ გვხდის გაყინულ პალტოებს, — დასველდით, თქვე საწყლებო! ახლავე ღუმელს ავანთებ. სერგო, მოდი აქ,— გასძახა მან თავის ქმარს, — მოდი, ნახე ვინ მოვიდნენ. ჩქარა, ჩაი შედგი, შეშა დაჭერი, სერგო!

მაშიკო — მამაჩემის ბიძაშვილია. ზორბა, წარმოსადეგი, ჩასუქებული ქალი, კეთილი, ალალი და სტუმართმოყვარე — ის ჩვენი ყველაზე საყვარელი მამიდა იყო. მასთან მისვლა ჩვენ მუდამ გვიხაროდა, ხოლო იმ შფოთიან ღამეს, ამდენი წვალების მერე მის ხელში რომ მოვხვდით, ეს უკვე დიდი ბედნიერება იყო. ჩვენ გავთბით ღუმელთან. დავლიეთ ცხელი ჩაი შოთი-პურით და ყველით. და, ცოტა არ იყოს, გონზე მოვედით.

— ახ, ვარო, ვარო! ერთხელ მაინც გამოევლო ჩვენთან, რჩევა ეკითხნა! — ჩიოდა მამიდა მაშიკო, — წარმოდგენილი მაქვს რა დღეშია ახლა ის საცოდავი, ისა! როგორ ჩაიდინა ასეთი სისულელე, აჰყვა ჭორებს! სერგო ამბობს, არავითარი უწესრიგობა არ შეიძლება მოხდესო. ასე არაა, სერგო?!

მამიდა მაშიკოს ქმარი — ვაგონშემკეთებელი ქარხნის ძველი მუშაა; ცოლისაგან განსხვავებით გამხდარია, ძარღვიანი, ტანმორჩილი, წყნარი და ჩუმი კაცია. მაშიკოს საპასუხოდ მან ჩაიცინა და წყენით გადააქნია თავი:

— რა თქმა უნდა, ყველაფერი მეჭორეების ბრალია, — თქვა მან დინჯად, — ჩამოეხეტნენ აქ თეთრგვარდიელი მაწანწალები, მენშევიკებმა იმათ ყველაფრის ნება მისცეს და აჰა, ისინიც ათასნაირ სისულელესავრცელებენ. ჩვენი მუშა ხალხი კი მუდამ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იყო, რუსეთის პროლეტარიატი მუდამ ჩვენი მეგობარი იყო. ტყუილად შეშინებია ვაროს, ყველაფერი კარგად იქნება!

ჩვენ ჯერ იქვე ვიყავით, როცა დილით ძია სერგოს თავისი ქარხნის მუშებმა გამოუარეს და ერთად წავიდნენ რაღაც საქმეზე.

დილა-ბნელზე დედაც მოგვადგა კარზე, დასველებული, მუხლებამდე ტალახში ამოლუმპული. უმალ მივცვივდით. გავხადეთ, შევფუთეთ მამიდას თბილ შალში, დავსვით ღუმელთან ახლოს, დავუზილეთ გაყინული ხელები. დედა ხან ტირილითა და ხან სიცილით გვიამბობდა როგორ გადმოხტა ვაგონიდან ავჭალაში, პირველსავე გაჩერებაზე. თანაც იმ ნათესავებს, გორში რომ მიდიოდნენ, დაუტოვა ჩემოდანი და სთხოვა შეენახათ იგი. თვითონ კი ფეხით წამოსულა, მოდიოდა თურმე შპალებზე, სველ თოვლსა და გამსჭვალავ ქარში. დასველდა, კინაღამ გაითოშა, სადღაც ფეხი დაუსხლტა, კინაღამ იღრძო, დაკარგა ცალი კალოში, მეორე კი გაიხადა და ხელით მოჰქონდა ქალაქამდე, დროშასავით მაღლა აწეული.

— მხოლოდ აქ, შემოსასვლელთან მოვიკრიფე აზრი და გადავაგდე.

ამ მწარე მოთხრობაში კვლავ გამოჩნდა ის იუმორი, დედას რომ სჩვეოდა, ის იცინოდა და ჩვენც ვხარხარებდით მასთან ერთად, ვეხვეოდით და გვიხაროდა, რომ კვლავ ყველანი ერთად ვიყავით.

— მადლობა ღმერთს, — ამბობდა დედა, — და გადმოგვცქეროდა ცრემლისაგან გაბრწყინებული თვალებით. — მადლობა ღმერთს, ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები ხართ. რა თქმა უნდა. გაქცევა არ იყო საჭირო! ასე არ არის?

სადგურიდან პეტროგრადის ქუჩამდე. სადაც ჩვენ მაშინ ვცხოვრობდით, ორი კილომეტრი მაინც იყო. ის იყო თენდებოდა, როცა ჩვენ მამიდა მაშოს გამოვეთხოვეთ და შინ წავედით.

რა კარგად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში თებერვლის ის ნისლიანი გარიჟრაჟი!

მოვდიოდით დაცარიელებულ ქუჩაზე და ჩვენი ნაბიჯების ხმა მკვეთრად ისმოდა მდუმარე კედლებს შორის. იდგა სიჩუმე, რაღაცის მომლოდინე დუმილი. თითქოს იგრძნობოდა ფრთხილი სუნთქვა მიხურულ ფანჯრებს იქით, ვიღაცის თვალი, გაკვირვებით რომ გვიცქეროდა — ვინ არის ასეთ დროს სასეირნოდ რომ გამოსულაო. არა მგონია, ვინმეს სძინებოდეს იმ ღამეს...

ჩვენ შესახვევებს მოვყვებოდით, ფეხქვეშ ტალახში აზელილ თოვლს ხრაშუნი გაჰქონდა, ქარი სახეში გვცემდა. ვახტანგი მიდიოდა წინ, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეჰფეროდა — თავდასხმის მოსაგერიებლად მზად რომ უნდა იყოს, მე და ჩემი დაი მას უკან მივდევდით, ბოლოს მოდიოდა დედა, რომელსაც ხელში ძია სერგოს ვეება ჯოხი ეჭირა. დროდადრო ვეხუმრებოდით კიდეც ერთიმეორეს, გვიხაროდა, რომ შინ ვბრუნდებოდით.

შესახვევიდან პლეხანოვის ფართო პროსპექტზე რომ გამოვედით, ვახტანგი უცებ შეჩერდა და ჩვენც ხელით განიშნა წინ აღარ წამოვსულიყავით: შუა ქუჩაში, ჩვენს პირისპირ, შეიარაღებული ცხენოსნების რაზმი მოდიოდა. ისინი უკვე ახლოს იყვნენ და ალბათ დაგვინახეს კიდეც. უკანდახევა გვიან იყო. ჩვენ უნებურად შევჩერდით... გავიდა რამდენიმე მძიმე წუთი, ვიდრე მხედრები ისე მოახლოვდებოდნენ, რომ სახეების გარჩევა შესაძლებელი იქნებოდა.

რაზმს წინ მოუძღოდა ფიცხ შავრა ცხენზე ამხედრებული გოლიათური გარეგნობის ქართველი ვაჟკაცი, შავი ნაბადი უდარდელად გვერდზე მოეგდო. მისი სახე ნაცნობი მეჩვენა. მას მოჰყვებოდა თორმეტამდე ცხენოსანი, ჩაცმულნი სულ სხვადასხვანაირად: ზოგს არმიული, ზოგს სტუდენტური მაზარა ეცვა, ზოგიც უბრალო, სამოქალაქო პალტოთი იყო. ყველას მხარზე თოფი ჰქონდა გადაგდებული და მკლავზე წითელი ნაჭერი ეკეთა.

ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ჩვენ გადავეყარეთ ნებაყოფლობით პატრულს, რომელიც ქალაქში წესრიგს იცავდა. მაგრამ ვინ არის ეს კაცი, რაზმის უფროსი? მე ხომ ის სადღაც მინახავს. ვცდილობ მოვიგონო, და უცებ დედაჩემის ხმა მესმის.

— ღმერთო ჩემო! უყურეთ, ეს ხომ პაოლო იაშვილია! — და დედა გაექანა ნაბდიანი მხედრისაკენ.

პაოლო იაშვილი... რა თქმა უნდა, ის არის! როგორ ვერ ვიცანი, სიტყვის გამოჩენილი ოსტატი, პოეტური საქართველოს სიამაყე. პაოლო — იმ წლების ახალგაზრდობის სათაყვანებელი კერპი.

ჩვენ, მოსწავლეები იმ ხანებში გატაცებული ვიყავით დასავლეთ-ევროპელი და რუსი სიმბოლისტების პოეზიით, ვკითხულობდით ბოდლერის, არტურ რემბოს, ბლოკის, ბრიუსოვის, ანა ახმატოვას ლექსებს. ქართულ მწერლობაში ჩვენი საყვარელი სახელები იყო პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი.

თუმცა, უნდა ვაღიარო, სიმბოლისტებზე ნაკლებად როდი „ვაღმერთებდით“ უნაზეს ლირიკოსს გალაკტიონ ტაბიძეს და სიყვარულის შთაგონებულ მომღერალს, სავსებით მიწიერ იოსებ გრიშაშვილს — იმ წლების პოეზიის ბრწყინვალე ოსტატებს. ჩვენ ძნელად ვშოულობდით მათი ლექსების კრებულებს (წიგნები გამოდიოდა იშვიათად და მცირე ტირაჟებით), ვიწერდით ალბომებში და ვკითხულობდით მოსწავლეთა კონცერტებსა და საღამოებზე.

პაოლოს შორიდან ვიცნობდი, მახსოვდა მისი ევროპულად ელეგანტური გარეგნობა, ამაყი გამოხედვა... ასე ახლოს კი პირველად დავინახე, ისიც ესოდენ უჩვეულო ვითარებაში.

და მაინც მე გამაოცა მისმა გარეგნობამ — პაოლოს ეცვა ნახევრად სამხედრო, ნახევრად სამოქალაქო ტანსაცმელი: გალიფე, ჩექმები, მხრებზე ნაბადი, თავზე სვანური ნაბდის ქუდი, ზურგზე — შაშხანა. ხოლო სახე—ძლიერი ნებისყოფით სავსე, მკაცრად გამოკვეთილი ნიკაპი, პატარა ულვაშები... გამჭრიახი, არწივისებური თვალები, მსხვილი ცხვირი ფართო ნესტოებით...



მარცხნიდან: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე.

# ქარხანა ლაბორატორია

მცხეთაში ბევრი ტაძარია — ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო... აქ უმღეროდა ლერმონტოვი მტკვარსა და არაგვს, აქ ოცნებობდა თავისუფლებაზე ახალგაზრდა მწირი. საქართველოს ძველი დედაქალაქი — ერის სიამაყეა. ეს შემთხვევითი როდია. მცხეთის მონუმენტური ანსამბლი ანდამატივით იზიდავს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ მრავალრიცხოვან ტურისტებს, პოეტებს, მწერლებს.

სვეტიცხოვლის მონუმენტური მაღალისროვანი თაღები ინახავენ საოცრად წარმტაც გადმოცემას კონსტანტინე არსაკიძეზე.

მცხეთას აქვს არა მარტო დიდი ისტორია. არის აქ ბევრი ისეთი რამ, რაც მატიანის ხვალინდელი ფურცელია, საამაყო და სასიქადულო. ეს დღევანდელი მცხეთაა, მისი ადამიანების შრომა და შემოქმედება.

მცხეთაში, სვეტიცხოვლის მახლობლად, დგას ერთი ორსართულიანი შენობა. აქ იქმნება მხატვრული კერამიკის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც მთელ მსოფლიოს ანცვიფრებენ.

ეს შენობა, სადაც მხატვრული კერამიკის ქარხანაა მოთავსებული, თბილისის სახელმწიფო აკადემიას ეკუთვნის, სტუდენტებისა და დიპლომანტებისათვის იგი ლაბორატორიის როლსაც ასრულებს.

შარშან ამ ქარხანაში სტუმრად იყვნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ტომსკი, ვიცე-პრეზიდენტი ევგენი ვუჩეტიჩი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი დიმიტრი შმარინოვი და სხვები. ქართველ მხატვრებთან საუბარში შმარინოვმა განაცხადა: „მსოფლიო ხელოვნების სიამაყეა მცხეთის ჯვარიცა და სვეტიცხოველიც. ამიტომ ახალგაზრდა ქართველი კერამიკოსები თავიანთ ქარხნისათვის უკეთეს ადგილს ნამდვილად ვერ შეარჩევდნენო".

კერამიკულ ქარხანა-ლაბორატორიაში შეიძლება გაეცნოთ პარიზის სავაჭრო პალატიდან ქარხნის დირექტორის მხატვარ მიხეილ გიორგაძის სახელზე გამოგზავნილ წერილს: „პატივცემულო ბატონო დირექტორო, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ქართული მხატვრული კერამიკის ნიმუშები — ფიალები: „თამარი", „აზარფეშა", „რევაზი", ქართული დოქები, ხარჩოს, ლობიოს სერვიზები და სხვა ნაწარმი".

და აი, 46 დასახელების 1.600 კერამიკული ნაწარმი გაიგზავნა ამ საწარმოდან პარიზში. ამას გარდა, მცხეთის კერამიკა გამოფენილი იყო მონრეალში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქარხანა-ლაბორატორიას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. თბილისის სამხატვრო აკადემიას სჭირდებოდა ბაზა, სადაც მხატვრული კერამიკის და მინის კათედრის სტუდენტები ჩასწვდებოდნენ ძველი ხელოვნების საიდუმლოებას და შექმნიდნენ ახალ, თავისებურ ნაწარმოებებს. სწორედ ამიტომ ამ ათიოდე წლის წინ გაიხსნა ეს კეთილმოწყობილი ქარხანა-ლაბორატორია. ახალმა საწარმომ, რომელსაც ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდნენ აკადემიის მაშინდელი რექტორი, აწ განსვენებული აპოლონ ქუთათელაძე და ჩვენი ხელოვნების სხვა გამოჩენილი ოსტატები, სულ მალე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

ახალგაზრდების შემოქმედებითმა ძიებამ და სათანადო საწარმოო ბაზამ სტუდენტებს საშუალება მისცა სრულყოფილად დაუფლებოდნენ ეროვნული კერამიკის საიდუმლოებას. ამჟამად ქარხნის ნაწარმს მსოფლიო აღიარება აქვს. კერამიკის ეს ნიმუშები გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, თვალსაჩინო ფორმით, ლაკონიური ფერით და მორთულობით, ზედაპირის ორიგინალური მოხატულობით.

ქართული კერამიკა, გარდა საფრანგეთისა, იგზავნება ამერიკაში, ინგლისში, ინდოეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. ქარხანა-ლაბორატორიამ თავისი მუშაობა დაიწყო 15 ნიმუშით, დღეს კი მის კატალოგში მრავალზე მრავალი ნიმუშია, რომლებსაც ქმნიან სამხატვრო აკადემიის კერამიკისა და მინის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები (გამგე პროფ. გ. ქართველიშვილი).

აღნიშნული კათედრა წარმატებით ზრდის ახალგაზრდა კერამიკოსებს.

საწარმოს კოლექტივმა ორჯერ მიიღო საკავშირო სავაჭრო პალატის ჯილდო მაღალმხატვრული ეროვნული კერამიკის ნაწარმოებთა შექმნისა და დამზადებისათვის.

ახალგაზრდა ქარხანა-ლაბორატორია ფრთებს შლის, ახლახანს მას თავისი არსებობის ათი წელი შეუსრულდა, ასეთ მოკლე დროში ქართულმა კერამიკამ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

**სიმონ ნაციაშვილი**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი

---

მახსოვს, არ გამკვირვებია ეს შეხვედრა. ეტყობა, მაშინვე მივხვდი, რომ ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი იყო — დიდი პოეტები ხალხთან ერთად უნდა იყვნენ იმ წუთებში, როცა წყდება ბედი მისი ისტორიისა.

...არ ვიცი რას ეუბნებოდა მას დედა, ალბათ, თავისი ჩვეულებისამებრ ის რაღაცას ხუმრობდა, პაოლომაც გაიცინა, დავინახე როგორ გაბრწყინდნენ მისი თვალისმომჭრელად თეთრი კბილები, მერე რაღაც ჩაულაპარაკა თავის მხლებელ ახალგაზრდა კაცს. მან მოაბრუნა ცხენი და დედას ჩვენსკენ გამოჰყვა.

— ეს ყმაწვილი კაცი გაგვაცილებს სახლამდე,— აგვიხსნა დედამ, — პაოლო ამბობს, რომ ქალაქში სრული სიწყნარეა, მაგრამ მაინც ასე სჯობია, რომ თქვენ არ ინერვიულოთო.

შემდგომში ჩვენ დავრწმუნდით, რომ სანერვიულო მართლაც არაფერი იყო. ქალაქში არავითარი უწესრიგობა არ ყოფილა.

მოგვითხრობენ, რომ იმ ღამეს პაოლო იაშვილისა და სხვა მწერლების მეოხებით შეიქმნა შეიარაღებული ნებაყოფლობითი რაზმები ქალაქში წესრიგის დასაცავად. მოელოდნენ პროვოკაციულ გამოსვლებს ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილ ბურჟუაზიული ელემენტებისა და ყოველგვარ ნაძირალათა მხრით, რომლებიც თავს აფარებდნენ საქართველოს დედაქალაქს.

შინ მშვიდობით დავბრუნდით, ცხოვრება მალე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, მამა სულ მალე დაბრუნდა. დაგვავიწყდა იმ ღამეს განცდილი მღელვარება, და ყველაფერი კარგად დამთავრდა, ერთი სამწუხარო ამბავი რომ არა — ჩვენი ჩემოდანი აღარ დაგვიბრუნდა, ვიღაცას ჩვენს ნაცნობთაგანს სინდისი არ ეყო. დედა დიდხანს მისტიროდა ამ დანაკარგს: „ხუმრობა საქმეა, მთელი ჩვენი საგანძური დავკარგეთო!"

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან პაოლო ხშირად გამოდიოდა პრესაში, სიხარულით მიესალმებოდა ახალი ეპოქის დასაწყისს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. მისი მეგობრები მოგვითხრობენ, რომ ლექსი „ახალ საქართველოს", რომელიც ქვემოთ მომყავს, წარმოთქმული იყო ექსპრომტად, ისევე, როგორც მისი მრავალი სხვა ბრწყინვალე იმპროვიზაცია:

**აზიის კარო! ფერად ბაღებით,**
**ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული,**
**ხარობს გმირული ბაირაღებით**
**შენი წარსული ლეგენდარული!**
**არ გაშინებდა ბილწი მონობა,**
**მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები;**
**შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა,**
**თავისუფალი მუდამ დარჩები.**
**შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,**
**შენი გმირობით ვართ ავსებული, —**
**მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით**
**ძველი ქვეყანა დახავსებული.**
**მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!**
**მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით,**
**დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი**
**წითელ რუსეთის დაძმობილებით.**
**აზიის კარო! ელავს ფერებით**
**შენი გვირგვინი და სამკაული,**
**მაშ, გადიხადე ბედნიერებით**
**პირველ მაისის დღესასწაული!**

გავიდა რამდენიმე წელი იმ შეხვედრიდან, რომელზედაც ზემოთ მოგითხრობდით. ბევრი რამ ძირფესვიანად შეიცვალა როგორც ჩვენს ყოფაში, ისე მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახლა ჩვენ, სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, ხშირად ვხედავდით ჩვენს საყვარელ პოეტებს, რომლებიც კითხულობდნენ ლექსებს ლიტერატურულ საღამოებზე და კონცერტებზე. ხანდახან ისინი ეწვეოდნენ ხოლმე ჩვენი სტუდიის დახურულ საღამოებსაც და მაშინ ჩვენ ვესაუბრებოდით მათ ყველაფერზე, რაც გვაღელვებდა და გვაინტერესებდა.

ჩემი adრინდელი წარმოდგენა პაოლოზე რამდენადმე შეიცვალა. ყველაფერმა, რაც მასზე მესმოდა და რაც მასთან პირადი შეხვედრების დროს ვიგრძენი და დავინახე, მე დამარწმუნა, რომ მისი მკაცრი არწივული იერის იქით, ასე უცებ რომ მეცა თვალში თებერვლის ამ სამახსოვრო ღამეს, ყოველივე ამას იქით იმალებოდა ნაზი სულის, ეგზალტირებული, თავდავიწყებით გატაცებული, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომლისათვის უცხო არ იყო რაღაც ცელქური და უცნაური საქციელიც. და განა შეიძლებოდა საყვარელი პოეტის ხასიათის ამ თვისებებს ახალგაზრდების გული არ დაეტყვევებინა?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**მსოფლიო პირველობა ფეხბურთში**

# მიუნხენი არც ისე შორს არის

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში ის შეჯიბრებაა, რომელიც ერთი წუთითაც არ ავიწყდება გულშემატკივარს. ჟურნალისტისათვის კი მუდმივი თემაა. იგი ფაქტიურად არასოდეს თავდება. როგორც კი გადიგრიალებს ერთი გრანდიოზული ასპარეზობა, მყისვე იწყება მზადება მეორისათვის. ასე ცვლიან ერთმანეთს ჩვენს ხსოვნაში ბერნი და სტოკჰოლმი, სანტ-იაგო და ლონდონი, მეხიკო და... მიუნხენი. დიახ, სწორედ ის მიუნხენი, სადაც 1974 წელს მსოფლიოს 16 უძლიერესი გუნდი შეხვდება ერთმანეთს. მიუნხენი არც ისე შორს არის.

### სანამ 14 შეირჩევა...

სანამ ფინალის მომავალი 14 მონაწილე შეირჩევა, გულხელდაკრეფილი არც ის ორი ნაკრებია, რომელსაც ეს უფლება ადრევე მიენიჭა. ჩვენ ვგულისხმობთ ბრაზილიელებს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონებსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს, როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებს.

ახლა ძალიან ძნელია ბრაზილიელთა ნამდვილ შესაძლებლობებზე მსჯელობა. რიო-დე-ჟანეიროში, „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში" გამარჯვება, რა თქმა უნდა, ჩინებული შედეგია, მაგრამ სკეპტიკოსებსაც საკმაო საბუთები რჩებათ. ბრაზილიაში არ თამაშობდნენ არც ინგლისელები და გფრ-ს ნაკრები, არც იტალიელები და უნგრელები. უფრო კონკრეტულად ბრაზილიელების შანსებზე ლაპარაკი, ეტყობა, მათი ევროპული გასტროლების შემდეგ დაიწყება. ამ გასტროლებს, რომელიც ივნის-ივლისშია დაგეგმილი, ახლა დიდი ინტერესით მოელის მთელი საფეხბურთო სამყარო.

მას შემდეგ, რაც პელე ნაკრებში აღარ თამაშობს, გუნდის ხელმძღვანელობას დიდი დარდი გაუჩნდა. მართლაცდა ვინ შეცვლის „ფეხბურთის მეფეს?"

„პრენსა ლატინას" კორესპონდენტი ელმერ როდრიგესი დეკემბერში პელეს ეწვია.

— ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ამიერიდან აღარასოდეს ვითამაშებ ნაკრებში. კონდიცია და სისწრაფე? ისეთივე მაქვს, როგორც ადრე. კურდღელიც ვერ დარბის ჩემზე სწრაფად, არც თუ ტექნიკური „ალქურვილობა" დამჟანგებია. ამასთან ერთად, დროს ყველაფერი მიაქვს, ეს მეც შემეხება.

— რამ გაგახარათ ყველაზე უფრო მეტად?

— უდიდესი სიხარული მომგვარა მსოფლიოს პირველობებზე ოთხგზის მონაწილეობამ და აქედან სამგზის ტრიუმფმა. იმ ბედნიერების შემდეგ, რაც ფეხბურთმა მომიტანა, ძნელია, ძალიან ძნელი თამაშისათვის თავის დანებება. ფეხბურთს ადამიანებისათვის სიხარული მოაქვს. მე მეტისმეტად გახარებული ვიყავი, როდესაც მეათასე ბურთი გავიტანე.

— რას ელით ბრაზილიის ნაკრებისაგან 1974 წელს, მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში?

— ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ 1974 წელს კვლავ მოიპოვონ მსოფლიოს ჩემპიონობა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატიდან განვლილ დროში სიტუაცია ფეხბურთის სამყაროში საგრძნობლად შეიცვალა. მომავალი მასპინძლების — გფრ-ის ნაკრების სახით სახიფათო მეტოქე გაგვიჩნდა.

— როგორ ფიქრობთ ვის შეუძლია ნაკრებში თქვენი შეცვლა?

— არის რამდენიმე კანდიდატი. შესაძლოა ჟაირზინიო, რიველინო, პაულო ცეზარი. მე მაინც მიმაჩნია, რომ ყველაზე უკეთ ამას ტოსტაო მოახერხებს. მას ჩინებულად ესმის თამაში, სწრაფია, ბრწყინვალე დრიბლიორი და შესანიშნავი მებრძოლია. ტოსტაოს ყველაფერი შეუძლია ფეხბურთში. ახლა არჩევანი მწვრთნელს ეკუთვნის.

— როდესაც „სანტოსში" ფეხბურთის კარიერას დაასრულებთ, საბოლოოდ გამოეთხოვებით ფეხბურთს?

— მე ჯერ არც კი ვფიქრობ ფეხბურთის კარიერის დასრულებაზე, მაგრამ ოდესღაც ეს დრო დადგება. მე მიმაჩნია, რომ ბავშვებისათვის ფეხბურთის სწავლება დიდი სიხარულის მომნიჭებელია. კარგი იქნება „სანტოსში" ბრაზილიის ნაკრებს ახალი ვარსკვლავები აღვუზარდოთ.

როდესაც პელემ ბრაზილიელთა მთავარ მეტოქედ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში გფრ-ის ნაკრები მიიჩნია, ეს აზრი საყოველთაოდ გაიზიარეს. მართლაცდა ჩვენ გვახსოვს, როგორი დიდებული ოსტატობა გვიჩვენეს გერმანელებმა ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატში. გფრ-ის ნაკრები ჩინებული იყო 1954 წელს ბერნსა და 1958 წელს სტოკჰოლმში, დიდებული — 1966 წელს ლონდონში. ახლა კი, როდესაც აქ ბრწყინავენ ბეკენბაუერი, ნეცერი და მიულერი, იგი ბევრი სპეციალისტის აზრით, შეუდარებელია. მისმა მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა, რომელსაც ადრე სიმწარეც არაერთხელ უნახავს, ახლანდელ ნაკრებს „ჩემი ოცნების გუნდი" უწოდა.

### რვა ევროპული ჯგუფი

ბრძოლა ევროპულ შესარჩევ ჯგუფებში თავიდანვე მეტისმეტად დაიძაბა.

უნგრელების საფეხბურთო თავმოყვარეობა ყველასათვის ცნობილია. იგი მსოფლიოს პირველობებში არაერთგზის წარმატებას ემყარებოდა (სამგზის მეორე ადგილი!), და აი უკანასკნელ წლებში ეს თავმოყვარეობა საკმაოდ შეილახა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის ფინალი საერთოდ უუნგრელებოდ გაიმართა. ამან ამ საფეხბურთო ქვეყნის სპორტული საზოგადოება ფრიად შეაშფოთა. მწვრთნელ რუდოლფ ილოვსკის აპატიეს მარცხი ევროპის პირველობაზე (მეოთხე ადგილი), ოლიმპიურ ნაკრებს — ჩემპიონობის დათმობა და მეორე ადგილზე გადაბარგება. ეს არაფერი, თუ მიღწეული იქნება მთავარი მიზანი — მსოფლიო პირველობის ფინალში მოხვედრა. ამ მხრივ კი საქმე უნგრელებს კარგად აქვთ. 8 შესაძლებლიდან 6 ქულით ისინი ლიდერობენ პირველ ევროპულ შესარჩევ ჯგუფში. რჩება სულ ორი მატჩი და ორივე — ავსტრიელებსა და შვედებთან ბუდაპეშტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნგრელებს „ცალი ფეხი" ფინალში აქვთ. უნგრეთის ფეხბურთის მესვეურებმა მკაცრი ზომებით დაამყარეს დისციპლინა. როდესაც ნაკრების ყოფილი კაპიტანი ალბერტი და ახალგაზრდა ნიჭიერი ნახევარმცველი კიუ ღამით სადღაც გაქრნენ და დილით შეზარხოშებულნი გამოცხადდნენ, მათ მყისვე აუკრძალეს ნაკრებსა და „ფერენცვაროშში" თამაში.

დიდ დავას არც მეორე ევროპულ ჯგუფში გამარჯვებულის საკითხი იწვევს. ლუქსემბურგელებთან, თურქებსა და შვეიცარიელებთან ბრძოლა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს — იტალიელებს მაინცდამაინც არ უნდა გაუჭირდეთ. მით უმეტეს, რომ „სკუადრა აძურამ" უკვე მიაღწია ფრეს შვეიცარიელებთან მეტოქეთა მოედანზე. იტალიელთა მწვრთნელი ვალკარეჯი ევროპის პირველობაზე განცდილი მარცხის შემდეგ დარწმუნდა, რომ ვეტერანებით ფონს ველარ გავიდოდა. ამიტომ შეელია იგი ფაკეტის. ჩერას. როსატოს, დე სისტისა და დომენგინის. ძოფს, ალბერტოზის, მაცოლას, რივერასა და რივას კი ახალი „ვარსკვლავები" დაუმატეს. მათ შორის უპირველესად ითვლება „ლაციოს" ცენტრალური თავდამსხმელი კინალია. რომელმაც, ვალკარეჯის აზრით, საყოველთაო ყურადღება უნდა მიიპყროს მიუნხენში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ევროპულ ჯგუფში მოელიან ჰოლანდიელების გამარჯვებას, მით უმეტეს, რომ ამ გუნდმა „მოიშორა" მატჩი ბრიუსელში (0:0) მთავარ მეტოქესთან — ბელგიელებთან. იყო დრო, როდესაც ჰოლანდიელებს ძლიერი კლუბები ჰყავდათ („აიქსი", „ფეიენოორდი"), მაგრამ სუსტი ნაკრები. ახლა მათ უკვე განახორციელეს დევიზი „ძლიერი კლუბები — ძლიერი ნაკრები!" როდესაც სექტემბერში თბილისს „ტვენტე" ეწვია, მისმა მწვრთნელმა საკუთარ ფეხბურთელებს მაღალი შეფასება მისცა და თან დასძინა: „რა თქმა უნდა, კრუიფი არა მყავსო". ჰოლანდიის ნაკრებს ჰყავს ეს კრუიფი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი, კონსტრუქტორი და სნაიპერი. „ფუტკარი" და შეუპოვარი მებრძოლი.

მეოთხე ევროპულ ჯგუფში რუმინელებმა სრულიად გაუთვალისწინებელი ქულა დაჰკარგეს ჰელსინკში ფინელებთან (1:1). ეს ზრდის მათი მთავარი მეტოქის — გდრ-ის ნაკრების შანსებს. მრავალი წლის განმავლობაში გერმანელებს ცნობილი უნგრელი სპეციალისტები ამეცადინებდნენ — იანოშ დიარმატი, შემდეგ კაროლ შოოში; და აი გერმანელებმა აითვისეს თავიანთი მასწავლებლების თვისებები — ჩინებული ტექნიკა, კომბინაციური სტილი, იმპროვიზაციის უნარი. ამას დაუმატეს მათთვის ისედაც დამახასიათებელი დიდი ბრძოლისუნარიანობა; საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გდრ-ის ნაკრებს ჯერ არ უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში. ხომ არ მოგვიტანს სენსაციას მათი პირველივე გამოსვლა?!

მეხუთე ევროპულ ჯგუფში (ინგლისი, უელსი, პოლონეთი) ჯერჯერობით ერთადერთი მატჩი გაიმართა — ინგლისელებმა კარდიფში მოუგეს მასპინძლებს — უელსელებს (1:0); რა თქმა უნდა, პოლონელები, რომლებიც ახლა ოლიმპიური ჩემპიონები არიან, ჩინებულად თამაშობენ, უელსელების ძალაც ყველასათვის ცხადია, მაგრამ წარმოუდგენელი იქნება, ინგლისელები რომ პირველ ადგილს არ დაეუფლონ!

მეექვსე ჯგუფში ოთხ-ოთხი ქულით წინ არიან პორტუგალიელები და ბულგარელები. სოფიაში დამარცხების შემდეგ თითქმის არავითარი იმედი აღარა აქვთ ჩრდილოეთ ირლანდიელებს. ძნელი სათქმელია, მათთვის სიკეთე უფრო მოაქვს, თუ ზიანი „ჭირვეულ ვარსკვლავს" ბესტს. თუ იგი ბელფასტში არ ჩამოდის, ვაია, ჩამოდის და, უი. ამასწინათ ინგლისის გაზეთები აჭრელებული იყო ასეთი სათაურებით: „ღამის ბარში ბესტმა გაარტყა მსახიობ ქალს!" 1966 წლის შემდეგ „მოზამბი-

# ჩემი ნამოწაფარი

ამ რამდენიმე ხნის წინ საჩქარო საქმის გამო თბილისში მივდიოდი. სოფელ ანაგაში გზაზე ვიდექი და წნორიდან წამოსულ ავტობუსს ვუცდიდი. ცუდი ამინდი იყო, მთელი საათი ვუცადე, მაგრამ ავტობუსი არ გამიჩერეს ყველა გადატვირთული მოდიოდა. როგორც იყო, ერთ შოფერს შევეცოდე. წინა კარებიდან როგორც კი ფეხი შევდგი, მან გამაფრთხილა: — ძია კაცო! დასაჯდომი ადგილი კი არა გვაქვს. — რა ვქნა, ძალიან მეჩქარება-მეთქი. სოფელ კარდანახში ავტობუსს კიდევ დაემატნენ მგზავრები.

მართალი უნდა მოგახსენოთ, თბილისამდე ფეხზე დგომას ვერ შევძლებდი, რადგანაც ომიდან მუხლების ტკივილი ჩამომყვა და რაც ხანში შევდივარ. მით უფრო მეტად მაწუხებს.

ჩალაუბანს გამოვცდით, ორმოცი წუთი ფეხზე ვდგავარ და მუხლებმა ისე ძლიერად დამიწყო ტეხვა, რომ სანახევროდ მკლავებით ვარ ჩამოკიდებული. თავიდანვე ასე ვფიქრობდი, — არ შეიძლება გზაში ვინმე არ ჩამოვიდეს, ან ახალგაზრდამ არ დამითმოს სკამი, რომ დაინახავენ მოხუცი ვარ-მეთქი. ამასაც ვფიქრობდი, იშვიათად მიმგზავრია ისე, რომ ჩემი ნამოწაფარი არ შემხვდეს და აი ახლაც ასე იქნება. მჯდომარე ხალხს თვალი მოვავლე და აი ჩემდა სასიხარულოდ მესამე რიგის სკამზე ნამოწაფარის სახემ შემომანათა. უცებ მოვწყვიტე თვალი — ვიფიქრე, რაკი დამინახა, თვითონ მიმიპატიჟებს დასაჯდომად. გავიდა 10-15 წუთი, არავინ გამომეხმაურა. კიდევ გადავხედე. ის ფანჯარაში იყურებოდა. — ალბათ ვერ შემნიშნა, — გულში ვთქვი და თუმცა ავტობუსში ჭედვა იყო, ძლივსძლივობით მის სკამამდე მივაღწიე, სკამს მივეყუდე და სახეში დავუწყე თვალთვალი, — ხომ არ ვცდები, იქნებ სულაც უცნობია-მეთქი, მაგრამ არ შევმცდარვარ, მისი ყურის ძირში თხილის ოდენა წითელი მეჭეჭი რომ დავინახე, დავრწმუნდი ის იყო, ჩემი ნამოწაფარი. გამახსენდა მისი გვარიც, სახელიც, თუმცა ჩვენი ტექნიკუმი მან 7-8 წლის წინ დაამთავრა. ფიქრში წასულს ისიც კი გამახსენდა რომელ მერხზე იჯდა და გამოცდაზე რა ნიშანზე ჩამაბარა. ახლა უკვე მოუთმენლად ვუცდი. შემომხედავს და როგორც სხვა დროს ჩემს ყოფილ მოსწავლეებს გაუკეთებიათ, მაშინვე წამოვარდება. მომესალმება და ადგილს დამითმობს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ხან თვლემდა, ხან კი ფანჯარაში იყურებოდა.

მუხლებში წყალი ჩამიდგა, მკლავებიც დამელალა. სკამის საყრდენს ვებღაუჭები. ხან წელში ვიღუნები. ხან ვიშლები, ლამის წავიქცე. მის გარდა. ჩემს ახლოს ხანში შესული ადამიანები სხედან. ნუთუ ვერ შემნიშნა მის თვალწინ აშოტილი კაცი. ოთხი წელიწადი თვალებში შემომყურებდა და ახლა ვეღარ უცვნივარ? ხანდაზმულმა კაცმა თუ ვიცანი, ჩემს ხელში მაგისთანას ხომ ასეულებს გაუვლია. ბრაზი მახრჩობს. 25 წელიწადი ტექნიკუმში ვიმუშავე პედაგოგად. ჩემი ახალგაზრდობა და ენერგია მათ აღზრდა-განათლებას შევალიე და აი რით მიხდის ეს ახალგაზრდა სამაგიეროს?!

გულში გადავწყვიტე, — პირდაპირ გვარით მივმართავ, ხალხს გავაგებინებ. რომ მე მისი ყოფილი მასწავლებელი ვარ, მაგრამ ვერა და ვერ გავბედე მრცხვენია. ხალხი რას იტყვის, რა მოწაფეები გყოლია, ორი საათი წინ უდგეხარ და ვერ შეგნიშნაო. ჯავრისაგან გული გასკდომაზე მაქვს. სადღა მახსოვს მუხლების ტკივილი!

საგარეჯოს ვუახლოვდებით. — მეგობარო! — გადმომძახა წინა სკამიდან ჩემსავით ხანდაზმულმა კაცმა, მობრძანდი! ახლა შენ დაისვენეო, და ჯოხზე დაყრდნობით ძლივს წამოდგა. ხეიბარი იყო. ხალხმა მიიწ-მოიწია, ძლივს ვაი-ვაგლახით ქანცგამოლეული დავეშვი სკამზე.

მე მინდა ჩემი ეს წერილი წაიკითხონ ჩემმა ნამოწაფრებმა, იმ ბიჭის ყველა ამხანაგი მიხვდება, ვისზეც ვლაპარაკობ. წაიკითხონ და უთხრან იმ ყმაწვილს, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება; მინდა ეს წერილი წაიკითხონ სხვებმაც და ერთი წუთით მაინც დაფიქრდნენ... ნუთუ ჩვენ, მოხუცმა მასწავლებლებმა ის ვერ დავიმსახურეთ, რომ ჩვენმა ნამოწაფრებმა უბრალო თავაზიანობა გამოიჩინონ ჩვენს მიმართ?!

მარტო მასწავლებლებზე კი არ არის აქ საქმე მოხუცი მოხუცია, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი. გამოიჩინე მცირეოდენი პატივისცემა. დაუთმე ადგილი ავტობუსში იქნება, თუ ტროლეიბუსში. რამდენჯერ დაწერილა ამის თაობაზე, მაგრამ მაინც იშვიათად თუ დაინახავთ, რომ ახალგაზრდამ მოხუცისადმი ასეთი პატივისცემა გამოიჩინოს.

**ნიკოლოზ მიქელაშვილი**

პენსიონერი პედაგოგი.
ს. ანაგა

---

კელ ჯიქს“ ეისებიოს თითქოს დაავიწყდა მეტოქის კარის გზა. ის იყო, ეისებიო უნდა ჩამოეწერათ კიდეც და მან 1972 წლის შემოდგომიდან ძველებური ელვარებით დაიწყო თამაში. ეისებიო ისევ ეისებიო გახდა!

მეშვიდე ჯგუფში იუგოსლაველებს ვიღაცამ შეატყობინა — შეიძლება ესპანელებმა და ბერძნებმა დოპინგი გამოიყენონო. ესე არ უნდაო და იუგოსლაველებმა ამ ჯგუფის ყველა მატჩის წინ ეიფას საექიმო კონტროლი შემოაღებინეს. ჯერჯერობით მათ მწვრთნელ ბოშკოვს თავი ქუდში აქვს — სევილიაში ფრეს (2:2) მიაღწია, ბელგრადში ბერძნები დაამარცხა (1:0). ჯერჯერობით, იმიტომ. რომ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის.

ხომ გახსოვთ მოკლექაბიანი შოტლანდიელი ფულშემატკივრები, ბარსელონას სტადიონზე რომ გადმოეფინენ! ისინი ყოველთვის თან დაჰყვებიან თავიანთ ნაკრებს — მერვე ჯგუფის ლიდერს. ახლა შოტლანდიელებს ორი თამაშიდან 4 ქულა აქვთ. მაგრამ გარკვეულს ვერაფერს ვიტყვით, სანამ ისინი მთავარ მეტოქესთან — ჩეხოსლოვაკიელებთან ორჯერ არ ითამაშებენ.

## მეცხრე ჯგუფი — საგანგებო პირობები

თითქოს ეს ევროპული ჯგუფიც ისეთივე შემადგენლობისაა, როგორც დანარჩენები. აქ გამოდიან საბჭოთა, ფრანგი და ირლანდიელი ფეხბურთელები. მაგრამ არის ერთი, არსებითი განსხვავება — ჯგუფში გამარჯვებული პირდაპირ ფინალში კი არ გადის, არამედ ორი გადამწყვეტი მატჩი უნდა ითამაშოს რომელიმე სამხრეთამერიკულ (ეტყობა პერუს) კოლექტივთან. ისე, რომ ამ ჯგუფში საგანგებო პირობებია.

რა არის მოსალოდნელი ამ ჯგუფში? საბჭოთა ფეხბურთელებმა ორი გასვლითი მატჩი ითამაშეს და ორი ქულა აქვთ. ფრანგებმა პარიზსა და დუბლინში ასევე ორი ქულა მოაგროვეს, ირლანდიელებმა თავიანთ მოედანზე ორი მატჩი ჩაატარეს და მათაც ორი ქულა აქვთ. ისე, რომ სამივე მეტოქემ ორ-ორი ქულა მოაგროვა. თუმცა ეს მათ თანაბარ შესაძლებლობებზე კი არ მეტყველებს. არამედ პირიქით მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ირლანდიელებს არავითარი შანსები არა აქვთ. ფრანგებს — თითქმის არავითარი.

თუმცალა. სჯობს თვით სპეციალისტებს მოვუსმინოთ:

**სანდრო სალვადორე (იტალია):** საბჭოთა ფეხბურთელები გაასწრებენ ფრანგებს.

**დობრომირ ჟეჩევი (ბულგარეთი):** პირველი ადგილი — საბჭოთა ფეხბურთელებს.

**ჰანს-იურგენ კრაიშე (გდრ):** გაიმარჯვებენ საბჭოთა ფეხბურთელები.

**იოახიმ მარქსი (პოლონეთი):** საბჭოთა ნაკრები გაასწრებს ფრანგებისას.

**პიტერ ლორიმერი (შოტლანდია):** პირველი ადგილი საბჭოთა ნაკრებს დარჩება. ფრანგებმა ყოველგვარი შანსები დაკარგეს დუბლინში წაგებით.

**ფერნარდო ნევეს პავაო (პორტუგალია):** საბჭოთა ნაკრები გამოვა პირველ ადგილზე.

**ტერი კუპერი (ინგლისი):** გაიმარჯვებენ საბჭოთა ფეხბურთელები. ფრანგები ძალიან არათანაბრად თამაშობენ.

**იოჰან კრუიფი (ჰოლანდია):** გაიმარჯვებენ საბჭოთა ფეხბურთელები.

ასეთია გამოჩენილ ფეხბურთელთა აზრი, მაგრამ წინ ორი ძნელი მატჩი რჩება. 13 მაისს მოსკოვში ითამაშებენ ირლანდიელები. ტელემაყურებლები გაეცნენ ამ გუნდის თამაშს. რა თქმა უნდა, ძნელია ირლანდიელები ევროპელ კორიფეთა რიცხვს მიაკუთვნო. მაგრამ არც თუ უიმედო აუტსაიდერები ყოფილან; ისე, რომ, მათთან გარკვეული სიფრთხილეა საჭირო. კიდევ უფრო მეტად სერიოზულია 26 მაისის მატჩი მოსკოვში ფრანგებთან. მართალია. დუბლინში წაგებამ ფრანგ მიმომხილველებს ცივი წყალი გადაასხა, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ ინარჩუნებენ შანსებს. ამ მიმომხილველებს უყვართ იმის გახსენება, რომ „სამფეროვნებმა“ მოსკოვში ორჯერ ითამაშეს და არც ერთხელ არ წაუგიათ (2:2, 3:3). მწვრთნელმა ჟორჟ ბულონმა გუნდში ორი ახალგაზრდა ზანგი ფეხბურთელი ჩარიცხა. ერთი აფრიკიდან, მეორე როგორც იტყვიან „ზღვასიქითა“ დეპარტამენტ მარტინიკიდან. ლაპარაკია ცენტრალურ მცველ ტრეზორსა და ნახევარმცველ ადამსზე. ამასთან 22 წლის მარიუს ტრეზორი 1972 წლის მიწურულში მოწყობილ რეფერენდუმის შედეგად საფრანგეთის № 1 ფეხბურთელად იქნა აღიარებული. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში — პირველი ადგილი ზანგს მიეკუთვნა.

* * *

აქ დაწვრილებით ვეღარ შევჩერდებით სამხრეთ ამერიკის სამ შესარჩევ ჯგუფზე, აგრეთვე აზიისა და ოკეანიის გუნდებზე.

მსოფლიო ჩემპიონატის სილამაზე მხოლოდ მის ფინალურ ნაწილში როდია, რომელიც 1974 წელს გაიმართება. ჩემპიონატს ეშხს მატებს ის დიდი და დაძაბული ბრძოლა, რომელიც კარგა ხნის წინ დაიწყო და მხოლოდ 1973 წლის 31 დეკემბრისათვის დამთავრდება. სწორედ ამ მეტად მძაფრი შესარჩევი თამაშების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ახლანდელ 98 მონაწილედან ბუნებრივი, სპორტული შერჩევის შედეგად 16 უძლიერესი გუნდი უნდა დარჩეს — ის კოლექტივები, რომელთაც მიუნხენის საგზურები ექნებათ.

**გივი გამრეკელი.**

# ზაქრო მასწავლებელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქანდაკე ზაქრო კრაწაშვილს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. მისალოცად ვეწვიე.

...კარი ჭაღარა კაცმა გამიღო. იგი ბეჭებში ოდნავ მოხრილია და გამხდარი. მეტად დაკვირვებული, თბილი, კეთილი გამოხედვა აქვს. ისეთი, როგორიც პედაგოგს უნდა ახასიათებდეს. მთელი მისი გარეგნობა მორიდებას, კორექტულობას გამოხატავს.

სახელოსნოში, ჩემი აზრით, დიდი უწესრიგობა სუფევს: მიყრილ-მოყრილია თაბაშირისაგან ჩამოსხმული, თიხისაგან გამოძერწილ ადამიანთა ტორსები, ხელ-ფეხი, თავი, ჩანახატები, წიგნები. მისთვის კი ეს ალბათ მხოლოდ მხატვრული უწესრიგობაა, ესოდენ დამახასიათებელი ყველა ოსტატის სახელოსნოსათვის.

მისი ორი ცნობილი ადრინდელი ნაქანდაკარი, წარსულში თარჯრბენში საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენის ელენე გოკიელის დინამიკით სავსე ფიგურა „ფინიშზე" და ცნობილი სწავლულის სიმონ ყაუხჩიშვილის ბიუსტი სახელოსნოში არ არის. სამაგიეროდ აქ სერგო ზაქარიაძის ბიუსტია. იგი თხუთმეტი წლის წინად გამოძერწა ოსტატმა, გამოფინა, პრესისა და საზოგადოებრიობის მოწონებაც დაიმსახურა. მას დიდი წარმატება ერგო მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

მახსენდება სერგო ზაქარიაძის სიტყვები: როცა ზაქრო კრაწაშვილმა ჩემს ბიუსტზე მუშაობა დაამთავრა, მითხრა, რომ ეს მისი შემოქმედების მწვერვალია, უკეთესს ველარაფერს შევქმნიო. გაკვირვებულმა დავუცაცხანე, არ მომეწონა მისი პესიმიზმი.

— დიახ, აგრე იყო, — ამბობს ახლა მოქანდაკე, — მის შემდეგ ბევრი არაფერი გამიკეთებია. მასწავლებლობა ბევრ დროს მართმევს. აი გავალ პენსიაში და იქნებ შემდეგ ავინაზღაურო დაკარგული დრო, — ეს სიტყვები ალალი გულით ნათქვამი სიმართლეა. ნაუცბათევად ნააზრევს არა ჰგავს. ეს კაცი, ვასკვნი გონებაში, დიდი ალტრუისტია, თავის შემოქმედებას მომავალი თაობის აღზრდას შეგნებულად სწირავს. და ეს კანონზომიერად მიაჩნია.

მხოლოდ რჩეულთ შეუძლია ასეთი მსხვერპლის გაღება. და მეც ვრწმუნდები ბოლოს და ბოლოს, რომ ზაქრო ასეთია. არის კიდევ ერთი მიზეზი, რაც აიძულებს ზაქროს ასე მოიქცეს. ეს არის ბავშვების თვალები, რომლებიც მას დიდი სიყვარულით, ცნობისმოყვარეობითა და ნდობით უყურებენ.

— ეს თვალები უძირო ზღვაა, — ამბობს ოსტატი, — სამყაროს შეცნობას მოწყურებული. მოწაფეთა თაობა თაობას მოსდევს, იცვლება, ჯაჭვივით უწყვეტია. თვალები კი, თვალები, უცვლელია, მუდმივი. მე მათ ვერ ვღალატობ, ან სად გავწყვიტო ეს უწყვეტი ჯაჭვი უმტკივნეულოდ. ცოდონი ვართ მეც, ისინიც. ისე ცოტ-ცოტას ვახერხებ, ვაკეთებ. თანაც განა პედაგოგობა არ არის შემოქმედება? ასწავლო სხვას, გამოიცნო და გაზარდო ნიჭი — ეს არ არის ბედნიერება? — მე ვეთანხმები. სათქმელი არაფერი მრჩება.

ალბათ ეს არის თვისობრივი საზომი თანამედროვე მოწინავე ადამიანისა, მოქალაქისა, რომელიც მოვალეობას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე პირად ინტერესს და მართლაც არის იმაზე სასახელო, დიდი და საამაყო, ვიდრე ნიჭიერი ახალი თაობის აღზრდა!

ზაქრო ყოველ კითხვაზე ჩვენობით მპასუხობს, რადგან თავის მეუღლეს მერი სარაულს გულისხმობს. ეს ნიჭიერი ქალი თხუთმეტი წელია ქმარს გვერდში უდგას და პედაგოგის ჭაპანს ეწევა. სადაც სამართალია, მ. სარაულზე ცალკე ნარკვევი უნდა დაიწეროს. ახლა კი მას მხოლოდ ვგულისხმობ. ვამჩნევ — ეს ზაქროს არ მოსწონს, მაგრამ ჩვეულ ტაქტს იჩენს და ძალას არ მატანს.

მასპინძელს ვთხოვ ის ცოტ-ცოტა ნამუშევარი მაჩვენოს. მას არც თუ დიდი ენთუზიაზმით მოაქვს მწერალ სანდრო შანშიაშვილის ბიუსტი და კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის ბარელიეფი. თვალებით მანიშნებს სველ ტილოში საგულდაგულოდ შეფუთვნილ ცნობილ ფსიქიატრ ა. ზურაბაშვილის ფიგურაზე. გახსნა ვთხოვე, მის ნაცვლად კერამიკული ნაკეთობანი — შავი ავაზა და გაზაფხულის მზეში გაფხორილი ჩიტუნა მოიტანა, წინ დამიწყო და თვალი მომარიდა — არ მწყენია, ვიცი არ უყვართ ხელოვნებს დაუმთავრებელი ნამუშევრის ჩვენება. ყოველ ნამუშევარს ატყვია ავტორის ოსტატობა, ნიჭი. მწერლისა და კომპოზიტორის შინაგანი სამყარო ძლიერად არის გადმოცემული. ორთავე თამამად დაიდგმება ს. ზაქარიაძის ბიუსტის გვერდით.

— ოცდაორი წელია ქანდაკებას ვასწავლი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ამ ხნის განმავლობაში ოცმა ჩვენმა მოწაფემ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. ახლა იქ სწავლობს ჩვენი 10 აღზრდილი. აკადემიაში მასწავლებლობს ჩვენი ნამოწაფარი თენგიზ კიკალეიშვილი. ნიჭიერი კაცია. პიონერთა სასახლეში 120 ბავშვი სწავლობს, — ასეთ მოკლე და მშრალ პასუხს მაძლევს ზაქრო კრაწაშვილი რამდენიმე შეკითხვაზე. მაგრამ ყოფილ მოსწავლეებს სიყვარულით იხსენებს, განსაკუთრებით კი მიხეილ სმირნოვს. შემდგომში მან მოსკოვში განაგრძო სწავლა. „კურსკის რკალის" მემორიალის შექმნის კონკურსში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭირა და მოსკოვშივე დასახლდა. ზ. კრაწაშვილის მოწაფეები იყვნენ მოქანდაკეები — ჯ. ჯაფარიძე, ა. რატიანი, მ. შხვაცაბაია და სხვები. ისინი სულ მალე იტყვიან თავიანთ სათქმელს ქართულ ქანდაკებაში. ზ. კრაწაშვილის ყველა მოწაფე, როგორც წესი, ძლიერია კომპოზიციაში. ამ აზრს იზიარებს ყველა სპეციალისტი, ვისაც კი შევეკითხე.

ზაქრო კრაწაშვილმა 1948 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იგი იყო ი. ნიკოლაძისა და ნ. კანდელაკის მოწაფე. პირველი ფრანგული სკოლის გავლენას განიცდიდა, მეორეს უფრო მონუმენტურობა იზიდავდა. მაგრამ, არც ერთი არ უარყოფდა ფსიქოლოგიზმს ქანდაკებაში. კრაწაშვილმა ამ ორი სკოლის შერწყმა მოინდომა და სერგო ზაქარიაძის პორტრეტი შექმნა. მისი აზრით, მიზანს ოდნავ მაინც მიაღწია. ასევე გადაწყვიტა მან ს. შანშიაშვილისა და ს. მირიანაშვილის სახეები. შავი ავაზაც ასეთია. მოქანდაკეს ძალიან უყვარს მაიოლი და ტრუბეცკოი. ხოლო ეგვიპტურ ქანდაკებას აღმერთებს და მსოფლიოში უბადლოს უწოდებს.

ოცდაორი წლის მასწავლებლობამ დიდი გამოცდილება დაუგროვა. მას უკვე შემუშავებული აქვს ახალი თაობის აღზრდის საკუთარი გზა.

— მომავალი მოქანდაკე უეჭველად კარგი მხატვარი უნდა იყოს, — ამბობს იგი, — ეს ყველაზე დიდი პირობაა წარმატებისა. რასაც ჩვენი მოსწავლე დღეს ძერწავს, ხვალ იგი აუცილებლად უნდა დახატოს, დახატოს ყოველი მხრიდან, ვინაიდან ქანდაკება მოცულობითი გამოხატულებაა და ხედვის წერტილიც მრავალი აქვს. მავნეა ნიჭიერი ბავშვის მხოლოდ აკადემიური სწავლებით შეზღუდვა. მოწაფეში უნდა განვითარდეს ნიჭი და გემოვნება. მასთან ერთად, ნელნელა შეითვისოს აკადემიურობაც. ეს არ შეუშლის ხელს ბავშვს თავისებურად აღიქვას, შეიგრძნოს სამყარო, რომელსაც იგი ხედავს, განიცდის, შთაბეჭდილებასა და ემოციას ულვივებს. თუ ბავშვს მისი ნიჭის ანაბარად ვტოვებთ და აკადემიურ სწავლების სისტემას უგულვებელვყოფთ, მაშინ იგი უმაღლეს სასწავლებელში ანბანის უცოდინარი დარჩება. არის მეორე საშიშროებაც: თუ ნორჩს მხოლოდ აკადემიური სწავლებით დატვირთავთ, მასში ჩაკვდება თაოსნობის გრძნობა, საკუთარი გზის ძიების სურვილი, ინდივიდუალობა, და ხელოვნებაში მხოლოდ განსწავლული ჩინოვნიკი იქნება.

— ზაქრო მასწავლებელმა, — მეუბნება მისი ყოფილი მოსწავლე, ახლა აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი გურამ მათიაშვილი, — არ იცის სიტყვა „ცუდია", „არ ვარგა". იგი ცდილობს თავად მიგვიყვანოს ცუდის უარყოფამდე, იქამდე, რომ თვითონ ობიექტურად შეაფასო შენი ნამუშევარი. მას შეუძლია მთელი დღე დაუთმოს ერთი მცირე დეტალის ახსნა-განმარტებას. იგი გარწმუნებს ლოგიკით, ცოდნითა და არა ბრძანებით.

პედაგოგის საუკეთესო თვისება ზ. კრაწაშვილს უხვად აქვს მომადლებული. იგი ამბობს, რომ ქართული ქანდაკება, ისეთივე მონუმენტური და გმირული უნდა იყოს, როგორც მისი მთები, ისტორიული წარსული, დღევანდელი დღე და მომავალი; იგი ამაზე ფიქრობს, ფიქრობს თავის მოწაფეებზე, რომლებმაც ეს უნდა განახორციელონ, რომელთა გზად და ხიდად თვითონ გახდა.

„გავალ პენსიაში" — მახსენდება მისი სიტყვები უკან მობრუნებულს და ერთი სურვილი მაქვს, შევბრუნდე და ვთხოვო, რომ დრო თანაბრად გაანაწილოს მოწაფეებსა და თავის პირად შემოქმედებას შორის. მართალია, იგი დარჩება, იცოცხლებს თავის მოწაფეებში, მაგრამ, მე მინდა, იგი დარჩეს, განაწილდეს, მის ქანდაკებაშიც ისე, როგორც მოქანდაკე, მთავარი გმირი ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურული შედევრისა „შემოქმედი".

აგული დადიანი.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# დაკეტილი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკო მანჯგალაძე

მილიციის უფროსი ჭადრაკის დიდი მოტრფიალე იყო. არანაკლებ უყვარდა ეს თამაში ოპერრწმუნებულ მელითაურს. არაერთხელ შერკინებიან ერთმანეთს და ხან ერთი სჯობნიდა, ხან მეორე. ეს ორთა ბრძოლა დიდი ხანია მიდიოდა და ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაინაღდა „ჩემპიონობა".

როცა სპასკისა და ფიშერის მატჩი დაიწყო, მათი ყურადღება შორეულმა რეიკიავიკმა მიიპყრო. საკმარისი იყო ერთი წუთით შვებით ამოესუნთქათ მუდამ სამსახურებრივ ორმოტრიალში მყოფ უფროსსა და ოპერრწმუნებულს, რომ ჭადრაკის დაფაზე ხმაურით დაჰყრიდნენ ფიგურებს და მერე დიდის გატაცებით არჩევდნენ ფიშერისა და სპასკის მიერ გათამაშებულ პარტიებს.

ის დილა მშვიდად გაუთენდა მილიციის უფროსს. მთელი ღამის განმავლობაში არსად ხიფათი არ მომხდარა, არავინ მოუკლავთ და დაუჭრიათ, არავინ გაუძარცვავთ. ასეთი დილა შვებას მოჰგვრიდა ხოლმე ბექაურს. იმ დღეს მზეც თითქოს უფრო ნათელი იყო და ქუჩაც უფრო ლამაზი.

წუხელ შინ გვიან წავიდა და უკანასკნელი ცნობებისთვის აღარ მოუსმენია, რა ჰქნეს ფიშერმა და სპასკიმ. დილით კი ოპერრწმუნებულმა ჩაწერილი სვლები მოიტანა და ვინაიდან განყოფილებაში სიმშვიდე სუფევდა, ჭადრაკის მოტრფიალეებმა მაშინვე ფიგურები დააწყეს. ვიქტორი, მათი პაექრობის მუდმივი დამსწრე და მაყურებელი, ახლაც აქ იყო, მაგრამ დაფისთვის არც დაუხედავს.

— აგებს, — თქვა ამოოხვრით ოპერრწმუნებულმა და მილიციის უფროსი მიხვდა ვინც აგებდა.

— რა იცი, ზუსტად კი ჩაიწერე სვლები?

— სულ ზუსტად, ამხანაგო მაიორო. აი, ნახეთ... შინ გავარჩიე კიდეც და აგებს... ნამდვილად აგებს.

უფროსმა დაფას დახედა, საქმის ვითარებაში გაერკვა და თავი სინანულით გადაიქნია.

— ამ ზომამდე როგორ მიიყვანა?! — გაკვირვებით თქვა მან და მხრები აიჩეჩა.

— აი, ეს პაიკი ასე არ უნდა ეთამაშა... ამას მე კი არა...

— მერედა, როგორ მოუვიდა, კაცო, ეს ბავშვური შეცდომა, მართლა გამოუვალი მდგომარეობა აქვს... — მილიციის უფროსი ერთ ხანს ისე დაფიქრებული დაჰყურებდა ჭადრაკის დაფას, თითქოს რთულ ოპერატიულ გეგმას დაჰყურებს და საბრძოლო მოქმედება უნდა დასახოსო. მერე, ვიქტორის ჩაფიქრებულ და შეწუხებულ სახეს რომ შეხედა, ერთბაშად ხელი მოუსვა ფიგურებს და დაფიდან გადაყარა.

მიხვდა მაიორი — ვიქტორს ახლა სადღაც შორს, ისლანდიაში გამართული საჭადრაკო შერკინება აღარ აინტერესებდა, მას თავისი შეცდომა აწუხებდა.

აშკარა იყო, მძებნელს ჯერ მოპირდაპირე სჯობდა, ისეთ სვლებს აკეთებდნენ ცოტაძე და ოსიაშვილი, რომ რამდენჯერაც აიღო მათი კვალი ვიქტორმა, იმდენჯერ დაუსხლტდნენ ხელიდან.

— მოიცა, პანიკას ნუ მიეცემი, ბრძოლა ჯერ წინ არის, — თქვა მაიორმა და ვიქტორი ვერ მიხვდა ჭადრაკს ეხებოდა ეს სიტყვა, თუ იმ ჩახლართულ საქმეს, რომელსაც მძებნელმა აქამდე თავი ვერ გაართვა.

და ის იყო მაგიდაზე ტელეფონმა დაიწკრიალა. ვიქტორს რატომღაც მოეჩვენა, თითქოს ტელეფონის ზარი ჩვეულებრივზე უფრო საგანგაშო, ავის მომასწავებელი იყო. მორიგემ მილი რომ აიღო, და მოუსმინა, ისე შეშფოთებით გადახედა იქ მყოფთ, ვიქტორმა იგრძნო—კიდევ რაღაც მოხდა.

— წილკნის ქუჩაზე, თავის ბინაზე დანით მოუკლავთ ახალგაზრდა კაცი, ლევან ჩხეიძე... მკვლელს წასვლისას კარი გარედან ჩაუკეტავს და გასაღებიც თან წაუღია. დღეს დილით შეტეხეს კარი...

ვიქტორი და მელითაური დაუყოვნებლივ მკვლელობის ადგილზე გაეშურნენ.

* * *

მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი შემოვარდა. შეშლილს ჰგავდა, ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა, ყელთან მომდგარი ქვითინი ახრჩობდა. მორიგემ სცადა მისი ვინაობა მაინც გაეგო, მაგრამ მისი აბნეული ლაპარაკიდან იმის მეტს ვერაფერს მიხვდა, რომ ეს ქალი გუშინ აღმოჩენილ მკვლელობაზე ლაპარაკობდა.

სულ მალე ახალგაზრდა ქალიშვილი მილიციის უფროსის კაბინეტში იყო. ბექაურმა უმალ ვიქტორი და მელითაური გამოიძახა.

მილიციის მუშაკები ყურადღებით უსმენდნენ მანანას, რომელიც ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა. საიდან იცნობს მოკლულს? ერთად სწავლობდნენ. მერე? ფაბრიკაში რომ დავიწყე მუშაობა, იქ მომაკითხა. ჩვეულებრივი, კარგი, წყნარი ყმაწვილი იყო, არ მახსოვს ცუდი რამ ჩაედინოს; ერთხელ კარგა ხნით სადღაც დაიკარგა, დაბრუნებისას მითხრა ბაკურიანში ვიყავიო. როდის დაბრუნდა? როცა დედა-შვილი ლაცაბიძეები დახოცეს. ლაცაბიძე ხომ ჩემი დეიდა იყო. მე ეჭვი მქონდა, რომ ლევანმა საიდანღაც იცოდა ლაცაბიძეების ამბავი, ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ისინი ჩემი ნათესავები იყვნენ, მაგრამ გადაფიცა, არაფერი გამიმხილა. ვატყობდი კი რაღაც საიდუმლო სტანჯავდა. და აი, მოუკლავთ საცოდავი ბიჭი, — მანანას ისევ ქვითინმა ჩაუწყვიტა ხმა.

ვიქტორი სმენად იყო ქცეული, ის ხვდებოდა, რომ ცოტაძისა და ოსიაშვილის კვალი ისევ გამოჩნდა... ხვდებოდა, რომ ლევანიც მათი მსხვერპლი იყო, მაგრამ ჯერ ვერ ეპოვნა აშკარა საბუთი, რომელიც ამ საქმეს ნათელს მოჰფენდა.

— მანანა, აბა გაიხსენე ვისთან დადიოდა ლევანი, ვინ იყვნენ მისი უახლოესი მეგობრები?

— მეგობრები? აბა რა ვიცი ვის დაუახლოვდა სკოლის დამთავრების მერე. ადრე კი, ყველაზე ხშირად მოსე ცოტაძესა და არსენ ოსიაშვილს ხვდებოდა. ეგენი სამივენი სკოლაში ჩემზე ორი წლით წინ იყვნენ.

ცოტაძისა და ოსიაშვილის გვარების ხსენებამ მძებნელი დაარწმუნა, რომ გუმანი არ ატყუებდა — ეს ახალი დანაშაულიც მათი ჩადენილი იყო.

— ხომ არსად შეგხვედრია ან ერთი ან მეორე? — ჩაჰკითხა ვიქტორმა.

— მე არა, მაგრამ თათიამ მითხრა, — ჩვენს სკოლაში სწავლობდა თათიაც, — მოსე და არსენა გორში ცხოვრობენ, ბინა ჩვენს სახლში იქირავესო.

მძებნელი მიხვდა, რომ ამჯერად მკვლელები ხელიდან ვეღარ წაუვიდოდნენ.

* * *

მატარებელი გორის სადგურიდან ნელა დაიძრა, ერთი ამოიქშინა, მერე წელგამართულმა თითქოს ფეხი მოიმაგრაო, სიჩქარეს უმატა. პროჟექტორის ცეცხლიანი თვალები ელვასავით კვეთდა სივრცეს.

მგზავრები თავთავიანთ ადგილებზე მიუყუჟულიყვნენ, ბაასობდნენ, ერთმანეთს ეცნობოდნენ.

მოკლედ წვერ-ულვაშ დაყენებულ ვიქტორ ჩიკვაიძეს როინ მელითაურთან ერთად სამგზავრო ვაგონის ოთხადგილიანი კუპე ეჭირა. მელითაურს სათვალე ეკეთა. თითქმის ყველა ვაგონი ფრთხილად დაათვალიერეს, მაგრამ ამ კილომეტრის სიგრძეზე გაჭიმულ სამგზავრო ვაგონებში, სადაც ასობით ადამიანს მოეყარა თავი, ძნელი იყო ვინმეს მონახვა.

მეზობელ ვაგონში გასული ვიქტორი ფანჯარასთან შეჩერდა და მინდორს გახედა. თოვლ-ჭყაპიანი ამინდი იდგა. ნაძვები და ფიჭვები მხრებჩამოცვენილი, ამოწუმპული მგზავრებივით ატუზულიყვნენ გზის გასწვრივ და ჩამობურულ ზეცას გასცქეროდნენ.

ვიქტორის ახლოს გამყოლმა ქალმა ჩაიარა. მძებნელმა უნებურად თვალი გააყოლა. გამყოლს ხელში რაღაც გახვეული ეჭირა. ტანმა თითქოს რაღაც უაზრაო, თვალი აღარ მოაშორა ქალს.

გამყოლმა თავისი სამუშაო კუპე გააღო და კედელზე ნელ-ნელა აათამაშა თითები, ამ კედელს იქით თეთრეულის შესანახი კუპე იყო. ვიქტორს საეჭვოდ მოეჩვენა გამყოლი ქალის მოქმედება, ღია კარებს ვითომდა უინტერესოდ ჩაუარა, ტამბურში გასასვლელი კარი გამოაღო და იქიდან ისევ უინტერესოდ, ვითომ შემთხვევით მოიხედა. ვაგონის გამყოლი ქალი თავის კუპედან გამოვიდა და თეთრეულის შესანახ კუპეს მიადგა, შიგნიდან რაღაც ჩხაკუნი მოისმა, მერე გამყოლმა გასაღებით კარი გააღო და შიგ შევიდა. ვიქტორი ფრთხილად მივიდა კარის წინ, ფანჯარასთან გაჩერდა. სმენად იქცა, ვერაფერი გაიგონა. მალე კარი გაიღო. ქალი გამოვიდა, ხელში საბანი ეჭირა. მას ვიღაცამ ჩურჩულით რაღაც ჰკითხა, გამყოლმა თავი შეჰყო კარში და მანაც ჩურჩულით უპასუხა. ქალმა კარი სწრაფად დახურა, ჩაკეტა და თავის კუპეში დაბრუნდა.

— ვინ უნდა ჰყავდეს ჩაკეტილი კუპეში? — ფიქრობდა ჩიკვაიძე, — შეიძლება უბილეთო მგზავრია... მაგრამ ასეთი განსაკუთრებული კონსპირაცია ვითომ დასჭირდებოდა? რევიზორს ხომ შეუძლია უცერემონიოდ მოსთხოვოს კარის გაღება! ეს თითების თამაში რაღა იყო. წინასწარ დადგენილი ნიშანი კარის გასაღებად? არა, უბრალო უბილეთო მგზავრის გამო ამდენ სიფრთხილეს არ გამოიჩენდა გამყოლი ქალი. როგორც ჩანს, ჩვეულებრივი მგზავრი არ უნდა მიჰყავდეს, ამიტომ საგანგებოდ უფრთხილდება. იქნებ სპეკულანტს მიაცილებს და არ სურს, რომ არამკითხე თვალმა დაინახოს? უნდა გავიგო რაშია საქმე. თუ სოხუმამდე არაფერი გაირკვა, მაშინ უნდა გავსინჯო კუპე, — გაიფიქრა ჩიკვაიძემ, სასწრაფოდ თავის ადგილზე დაბრუნდა და მელითაურს მოეთათბირა.

*. დასასრული. იხ. „დროშა", № 3.

მატარებელი სოხუმში დღისით შევიდა. გარეთ ისევ თოვდა. დამდნარ თოვლს ვაგზლის მოასფალტებულ მოედანზე წყლის პატარა გუბეები დაეყენებინა. მგზავრები ბაქანზე ჩადიოდნენ. ჩიქვაიძე ფანჯარასთან იდგა და უდარდელად ათვალიერებდა მოფუსფუსე ადამიანებს. აგერ ბაქანზე ჩასულ მელითაურს მოჰკრა თვალი. ჩამსვლელები ჩავიდნენ, ამომსვლელები ამოვიდნენ. თეთრეულის შესანახი კუპეს კარი ფრთხილად გაიღო. იქიდან კაცი გამოვიდა და დინჯად წავიდა გასასვლელისაკენ. ვაგონიდან ჩასულმა ჩქარი ნაბიჯებით მოსაცდელ დარბაზს მიაშურა და იქ გაუჩინარდა. როცა ვიქტორმა მელითაური თვალებით მოძებნა, მან მშვიდად გაიღიმა.

— მაშასადამე, ახლოს მყავს, — გაიფიქრა ვიქტორმა.

ვიქტორი სწრაფად გამყვა უცნობის კვალს.

— ჯერ უნდა დავაბინაოთ, მერე აქაურ მუშაკებს მოვიშველიებთ და... ვეღარც ერთი ვერ გაგვექცევა.

— მოსაზრებული ოპერმუშაკია, — გაიფიქრა ვიქტორმა და მელითაურს შორიახლოს მიჰყვა. უცნობი ქუჩაში გავიდა და მსუბუქი მანქანის შოფერს გამოელაპარაკა. მერე მანქანაში ჩაჯდა. ვიქტორმა მანქანის ნომრები ჩაინიშნა უბის წიგნაკში, ჩამვლელი მანქანა შეაჩერა და ნებართვის გარეშე შიგ ჩაჯდა. მანქანას სახელმწიფო ნომრები ჰქონდა.

— განმარტების დრო არ არის. სასწრაფოდ გამყევით აგერ იმ მანქანას, — და თითით წინ მიანიშნა, — საქმე სერიოზულია, უნდა დაგვეხმაროთ. — მელითაურმა შოფერს პირადობის მოწმობა აჩვენა.

— ბატონი ბრძანდებით. — უთხრა შოფერმა და მანქანა ადგილიდან დაძრა.

— ვითომ ის არის? — გადაუჩურჩულა მელითაურმა.

— ნამდვილად ვიცანი, — უპასუხა ვიქტორმა.

— როსტოვში რომ უნდა წასულიყო?

— მაგათ კვირაში ათ პარასკევი აქვთ. მე მგონი, მეტსახელი გადაბმულიც ცუდად აუხდებათ. ყველანი ერთად გვებმიან მახეში.

უცნობის მანქანას ოცდაათ-ორმოც მეტრზე მიჰყვებოდნენ. ქუჩაში დიდი მოძრაობა არ იყო. მაგრამ ვიქტორმა გადასწრება მაინც ვერ გადაწყვიტა. ბედზე რამდენიმე მანქანამ ჩაიქროლა. მათ შორისაც მანქანა ჩადგა. უკვე ქალაქის გარეუბანში იყვნენ, იქ, სადაც ბაღჩა-ბაღები იწყებოდა. ეზოებში მწვანე ციტრუსები და ფოთლებდაცვენილი ხურმის ხეები მოჩანდა. წინა მანქანა ვილაცის ჭიშკართან შეჩერდა. შუაში მყოფმა გაუსწრო, მას ვიქტორი და მელითაური მიჰყვნენ. ვიქტორმა აშკარად შენიშნა, როგორ აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით წინა მანქანიდან გადმოსული ცოტაძე. იგი ეზოს კარებთან იდგა და ზვერავდა. ვინმეს ხომ არ შევუმჩნევივარო. ვიქტორმა დაინახა როგორ მიიხურა ჭიშკარი და ცოტაძე ეზოში შევიდა.

— როინ, შენ აქ დარჩი. მე განყოფილებაში წავალ და ყველაფერს მოვაგვარებ. იცოდე, ვინც უნდა გამოვიდეს ეზოდან, ჩვენთვის ყველა საინტერესოა.

სოხუმის გარეუბნის მილიციის განყოფილების უფროსს ვანო ქირიას ვიქტორი კარგად იცნობდა. ახლა, როცა ვიქტორმა საეჭვო სახლი უხსენა და ნომერიც დაუსახელა, ვანომ ბრაზით წამოიძახა:

— ვიცი... არ იყო ეგ ცუდი ოჯახი, მაგრამ ბიჭი წამოეზარდათ ყალთაბანდი და გაიძვერა. მშობლები ახლა აქ არ არიან, თბილისში წავიდნენ. თვითონ მხითარი, ვინ იცის სად არ დაწანწალებს. ალბათ ეგ მკვლელებიც იმან ჩამოიყოლა.

— ერთ მათგანს ჩვენ ჩამოვყევით თბილისიდან, — განუმარტა ვიქტორმა.

მილიციის განყოფილებაში სწრაფად დააზუსტეს ყველაფერი — ახლა უკვე კარგად იცოდნენ, რომ ბინაზე სამნი იყვნენ — მხითარი, მოსე და არსენა.

თბილისიდან ჩამოსულნიც და აქაური მუშაკებიც ოპერაციისათვის უკვე მზად იყვნენ.

* * *

— ჯერ მოიცათ, ხელს ნუ ახლებთ, ვიდრე სახლს არ მოშორდება. — გააფრთხილა ამხანაგები ვიქტორმა და თვითონაც იარაღი გასინჯა.

მოსე ცოტაძე ფრთხილად გამოვიდა ქუჩაში და ყველაფერი ისევ ყურადღებით შეათვალიერა. ჭიშკრის კარი ღია დატოვა. ქუჩაში თითო-ოროლა მანქანა მიმოდიოდა, ქვეითად მოსიარულე არავინ ჩანდა. ამან დაამშვიდა. ჭიშკრის კარი მაგრად მოხურა. ჩხაკუნზე მივხვდებოდით, კარი შიგნიდან ჩაირაზა.

— მაშასადამე, ამ კარიდან სხვები არ გამოვლენ, — გაიფიქრა ვიქტორმა და მელითაურს არ მიცა მიჰყოლოდა ცოტაძეს. მოსე ქუჩას ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა. თან თოვლის ფიფქებს სახეს უშვერდა, ალბათ ეამებოდა წყლიანი თოვლი გახურებულ სახეზე. სახლიდან მოშორებით, სატვირთო მანქანაზე დაჯდომა სცადა, რომ ის იყო მაღლა აწეული ხელები გაუკავეს, შეუტრიალეს და შეუკრეს. გაბრძოლებაც კი ვერ მოახერხა, ჯარაბინდა მი ისე ამოაცალეს ჯიბიდან.

— ახლა მოთმინება იქონიე, არწივო, — გააფრთხილა მელითაურმა და ცოტაძე მსუბუქ მანქანაში შეიყვანეს.

— ვინ დარჩა სახლში? — ჰკითხა მელითაურმა, როცა მანქანა დაიძრა.

ცოტაძეს ხმა არ ამოუღია.

— არ იტყვი? — შეარყია მელითაურმა.

— ვერ მოესწრები! ქურდულად დამიჭირეთ. რა ვაჟკაცობაა!

— რომელ ვაჟკაცობაზე ლაპარაკობ, მკვლელო, გაიძვერავ!

მილიციის მორიგემ ბანდიტი ცალკე საკანში მოათავსა. მელითაური კი ოპერაციის ჩატარების ადგილზე დაბრუნდა.

— ვიქტორ ჩიქვაიძე და ვანო ქირია სახლის უკანა მხარეს გადავიდნენ. — მოახსენა მელითაურს ოცმეთაურმა. სულ ოცი წუთი გასულიყო ოპერაციის დაწყებიდან. მელითაურს იგი მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა.

ფერდობზე, კორომებში სროლის ხმა გაისმა. ეზოებში და ქუჩაში ხალხი გამოეფინა. ყველანი ნაძვის ტყისაკენ მირბოდნენ. იქიდან მოისმოდა სროლის ხმა.

— არ გაინძრეთ, გარშემორტყმულები ხართ! — მოისმა ივანე ქირიას მჭექარე ხმა.

სროლა ისევ გაისმა.

როცა მელითაურმა ნაძვის კორომთან მიირბინა, ბრძოლა უკვე დამთავრებულიყო. მილიციის მუშაკებს დაჭრილი უბნის რწმუნებული ომარ ლაბაძე საწვიმარ ლაბადაში გახვეული მოჰყავდათ. ხოლო ტყვიით განგმირული ოსიაშვილი თოვლში ეგდო. გვერდით ხელებგაკრული მხითარი პირისუფალივით მიჯდომოდა.

ფერდობი ხალხით გავსებულიყო.

კორომს სანიტარული და ოპერატიული მანქანები მიადგნენ.

# მოზაიკა



წიგნი მძარცველის ხელში

თურმე ძალზე სახიფათო ყოფილა, როცა წიგნი ბოროტმოქმედს ჩაუვარდება ხოლმე ხელში. ინგლისელმა მწერალმა კონან დოილმა თავისი მოთხრობა „მწითურთა კავშირი" ოთხმოცი წლის წინ დასწერა. მოთხრობაში შემდეგი ამბავია გადმოცემული: რამდენიმე მძარცველმა ერთიერთ საცხოვრებელ სახლის სარდაფიდან საიდუმლო გვირაბი გათხარა ბანკამდე. ის-ის იყო, მძარცველები გვირაბის გავლით, ბანკის განძსაცავში ამოძვრნენ, რომ მათ თავზე წამოადგა ცნობილი დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი.

სულ ახლახანს ზუსტად მსგავსი ოპერაცია გაიმეორეს ინგლისელმა მძარცველებმა. მათ ბეიკერ სტრიტზე მდებარე ბანკში საიდუმლო გვირაბი გაიყვანეს, იატაკი აყარეს და ლოიდსის ბანკიდან მილიონ-ნახევარი სტერლინგის ბანკნოტები და სხვადასხვა სახის ძვირფასეულობა გაიტაცეს.

ლონდონის პოლიციამ ვერ შესძლო ხელი შეეშალა მძარცველებისათვის. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიაკვლიეს დამნაშავეთა კვალს.



ნულამდე დაყვანილი მინი-კაბა

„მაქსისთან" ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, მინი-კაბების მოყვარულებმა კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგეს წინ.

ავსტრიელმა მხატვარ-მოდელიორმა ედიტ რიკერმა წინადადება წამოაყენა, რომ მოდის მიმდევარმა ქალებმა შიშველ ტანზე დახატული „ტანსაცმელით" იარონ ქუჩებში. თავისი ჩანაფიქრი მან სულ მალე პრაქტიკულადაც განახორციელა. ერთ-ერთ პრანჭიკელა ქალს ედიტ რიკერმა შიშველ სხეულზე მიახატა ჰადრაკის დაფა, რომელზეც საყაიმო მდგომარეობაში მყოფი ფიგურები იყვნენ გამოსახული.

„ტანსაცმლის" თემის შერჩევა მხატვარმა-მოდელიორმა ჰადრაკისადმი უკანასკნელ ხანებში უაღრესად გაზრდილი ინტერესით ახსნა.





## შეურაცხყოფათა ანთოლოგია

მიმდინარე წლის დასაწყისში ლონდონში ერთი უცნაური წიგნი გამოსცეს. მას ეწოდება „კრიტიკულ გამოთქმათა და შეურაცხყოფათა ანთოლოგია". წიგნში თავმოყრილია ყველაფერი, რაც ცუდი და უარყოფითი თქმულა ინგლისზე, დაწყებული ანტიკური ეპოქიდან დღემდე.

წიგნი იწყება ციცერონის ფრაზით: „ერიდეთ ბრიტანელ გაიძვერებს". აქვეა გოეთეს ფრაზა: „მსოფლიოში ვერსად ვერ მოძებნით იმდენ ფარისევლებსა და თვალთმაქცებს, რამდენიც ინგლისშია". წიგნში არც ინგლისელების მიმართ ნახმარი ცნობილი გამოთქმის — „ვერაგი ალბიონის" მოყვანა დავიწყებიათ. თურმე ეს გამოთქმა ეკუთვნის მე-17 საუკუნის დიდ ფრანგ ორატორს ბოსიუეს.

ანთოლოგიის ავტორები შეჩერდნენ ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისზე. „შემდგომში, — წერენ ისინი, — ინგლისი ისეთი მძაფრი კრიტიკის ობიექტად იქცა, რომ ციტატების მოყვანას უკვე აზრი აღარ აქვს".

## ნდოგადაკარგული მოწმე

ბერნში, სასამართლო პროცესზე, როგორც მოწმე გამოძახებული იყო შვეიცარიის ამინდის ბიუროს ხელმძღვანელი თომას ფიურლი. მოსამართლემ დაკითხვის წინ მოწმე გააფრთხილა: „ამჯერად მაინც თქვენ მხოლოდ სიმართლე უნდა ილაპარაკოთ".

## ჯიუტი არგადამხდელი

ნორვეგიის ქალაქ პორსგრუნის მკვიდრმა, ერთი წლის გოგონამ ბენტა ოსეიდმა მიიღო უწყება, რომელშიც ხელისუფლები თხოულობდნენ, ადრესატს დაუყოვნებლივ გადაეხადა საშემოსავლო გადასახადი. იქვე იყო აღნიშნული, გვაცნობეთ, იღებთ თუ არა, მოხუცებულობის პენსიასო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, მთელი ამ გაუგებრობის მიზეზი გამოდგა ელექტროგამომთვლელი მანქანა: მან „გამოითვალა", რომ ბენტას ასაკი ერთი წელი კი არ არის, არამედ... ას ერთი წელი. ქალაქის ხელისუფალთა ეს შეცდომა ნორვეგიის გაზეთებმა სენსაციად აქციეს — გამოაქვეყნეს ბენტას სურათი და კარიკატურები ქალაქის მამებზე.

## უნივერსიტეტში... სიკვდილის შემდეგ

„დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ ერთ-ერთმა ნიუ-იორკელმა მოქალაქემ დასწერა და ნოტარიუსს წარუდგინა ანდერძი, რომლის მიხედვითაც სიკვდილის შემდეგ მისი გვამი უნდა გადაეცეს ჰარვარდის უნივერსიტეტს.

თავის გადაწყვეტილებას ანდერძის ავტორმა (გვარსა და სახელს გაზეთი არ ასახელებს) შემდეგი გარემოებით ახსნა: „ჩემი მშობლები ყოველთვის ოცნებობდნენ, რომ მე ჰარვარდის უნივერსიტეტში მესწავლა. მაგრამ ამ უნივერსიტეტში მოხვედრის ერთადერთი გზა ჩემთვის მხოლოდ ეს არის".




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი

### ჰორიზონტალურად

1. ქალაქი შვეიცარიაში; 3. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 7. ძველი ქართველი პოეტი; 8. სახელმწიფო აფრიკაში; 11. ფრანგი კომპოზიტორის ლ. დელიბის ოპერა; 13. აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე; 14. აღმოსავლური დასარტყმელი საკრავი; 15. უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდი; 19. სპორტის (მძლეოსნობის) სახეობა; 20. დიდაქტიური ხასიათის მცირე ლიტერატურული ნაწარმოები; 22. კოტე მარჯანიშვილის კინოფილმი; 24. ავსტრიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. 25. ქალაქი თურქეთში; 26. პატარა არია.

### ვერტიკალურად

2. სპირტის ერთ-ერთი სახეობა; 4. ალ. ყაზბეგის პერსონაჟი ქალი; 5. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 6. გარეული ფრინველი; 9. წერილობითი ხასიათის პირობითი ნიშნების სისტემა ამა თუ იმ დარგში, მაგ. საჭადრაკო; 10. დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ; 11. „მთვარის მოტაცების" პერსონაჟი ქალი; 12. იტალიელი კინომსახიობი ქალი (ფილმებში „ტერეზა რაკენი", „პური, სიყვარული და ფანტაზია"); 17. ითარ ჭელიძის პოემა; 18. შუასაუკუნეების იტალიელი პოეტი და მოაზროვნე; 21. იტალიელი კომპოზიტორი; 23. ძველ რომაელთა ომის ღვთაება.

გარეკანის პირველ გვერდზე: ჩვენი საყვარელი წიგნები. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: უშბა. ფოტო შ. ჩართოლანისა.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

სკპ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/III-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-73 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 55.300. შეკვ. № 830. უე 01805.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძველი თბილისის სურათები









ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა